რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 10 აპრილი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 30 კაპ.

გაზეთი ღირს: 1 თვით 6 მ. 50 კ., ცალკე ნომერი ყველგან 30 კაპ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 საა. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба“. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 82 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 82

გრძელდება ხელის მოწერა 1918 წლისთვის
ყოველ დღიურ გაზეთ
„ერთობა“-ზე
1 თვით — 6 მან. 50 კ. ცალკე № ყველგან 30 კ.
გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით:
Тифлисъ почт. ящикъ № 199. РЕДАКЦІЯ „ЭРТОБА“.
ამხ. და თანამგრძნობთ გხთხოვთ ხელის მოწერას ნუ დააყოვნებენ.

გამოუთქმელ მწუხარებაში მყოფნი: ვანო, პავლე, ვლადიმერ და გრიგოლ დავითის ძე საყვარელიძეები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ უსაყვარლესი ძმის ექიმ
ვარლამ დავითის ძე საყვარელიძის
ვერაგულად მოკვლას სხვა ქართველებთან ერთად ქ. არმავირში. პირველი პანაშვიდი გადახდილი იქნება 10 აპრილს დღით სამშაბათს საღ. 6 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. (1—1)

ურმეს მწუხარებასა შინა მყოფი: ვლადიმერ ილის ძე ტატიშვილი აუწყებს ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს ძვირფასი ცოლის ძმის ექიმ
ვარლამ დავითის ძე საყვარელიძის
ვერაგულად მოკვლას სხვა ქართველებთან ერთად ქ. არმავირში. პირველი პანაშვიდი გადახდილი იქნება დღით სამშაბათს ამა აპრილის ათ რიცხვს, საღამოს 6 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. (1—1)

დამწუხრებული ზაქარია (შაქრო) მაქსიმეს ძე გაბაშვილი აუწყებს ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს ძვირფასი ცოლის ბიძაშვილის ექიმი
ვარლამ დავითის ძის საყვარელიძის
ტრაღიკულათ მოკვლას ქ. არმავირში. დანიშნულია პანაშვიდი ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში 10 აპრილს საღ. 6 საათზე. (1—4)

ურმეს მწუხარებაში მყოფი ალექსანდრე სვიმონის ძე საყვარელიძე აუწყებს ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ ქ. არმავირში ვერაგულად მოკვლას ექიმ
ვარლამ დავითის ძის საყვარელიძისას
პირველი პანაშვიდი დანიშნულია სამშაბათს, 10 აპრილს საღამოს 6 საათ. ქვაშვეთის წმ გიორგის ეკლესიაში. (1—1)

„ალიონის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და მეგობართ, რომ ქ. არმავირში ტრაღიკულათ მოკლულის სამხ. ექიმის
ვარლამ დავითის ძე საყვარელიძის
სახსოვრად გადახდილ იქნება პანაშვიდი დღეს, სამშაბათს საღამოს 6 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში. (1—1)

ღრმად დამწუხრებულნი დედა ეკატერინე, ძმები გიორგი. ფრიდონ. დები ბაბო, არიანა, მალო და სიძე ილია ცეცხლაძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, ტრაღიკულად გარდაცვალებას
კონსტანტინე (კოწია) ალექსანდრეს ძე წულუკიძისას

სამშაბათს, 10 აპრილს შესრულდება გარდაცვალებიდან წლის თავი ძმ. კვეზერელების ყოფილ მზარეულის
ნიკოლოზ ელიოზის ძის კევლიშვილისა
რასაც აუწყებს ნათესავთა და მეგობრებს მეუღლე მისი ნატალია გრიგორის ასული. პანაშვიდი და ძეგლის კურთხევა შუადღის 12 საათზე წმ. ნინოს სასაფლაოზე. პატივსავცემ ილიკო გრიგორის ძე ცხვედაძე. (1—1)

გულ დათუთქულნი და მწუხარებით აღვსებულნი მშობლები: მამა ივანე, დედა ემილია; ძმები: მელქისედეკ, გიორგი, შალვა და ირაკლი ვაუწყებთ ნათესავთ, მეგობრებს და ამხანაგებს, რომ 12 აპრილს დღითი ხუთშაბათს 12 საათზე სოფელ ბახვში, ბახვის ღვთის მშობლის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროვოთ გარდაცვალებულის ძვირფასის და საყვარელის
ვიკტორ ივანეს ძე ბოლქვაძის
სულის მოსახსენებლათ. (2—1)

ექიმი პ. ი. გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი
ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით ტელ. 15—00.

ექიმი გ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57; აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, „სახ სვანიშვილისა. ტელ. № 5—77.

## აუცილებელი ნაბიჯი.

ამიერ-კავკასიას უდიდესი საფრთხე მოელის. რევოლუცია განსაცდელშია. გარეშე მტერი უკვე შემოიჭრა ჩვენს საზღვრებში და ლამობს თავისუფლების მოსპობას და ქვეყნის განადგურებას.

დემოკრატია ვალდებულია მომხდურს შესაფერი პასუხი გასცეს და მისი იერიშები ყოველი ძალღონით მოიგერიოს. აქ ორი აზრი არ შეიძლება. მარა როგორ შეიძლება ჩვენი ინტერესების დაცვა და მომხდურთა მადის შეკვეცა?

რუსეთმა ზავი შეკრა ოთხთა კავშირთან და სხვათა შორის ოსმალეთთანაც. თუ ამიერ-კავკასია ნაწილია რუსეთის, ის მოკლებულია საშვალებას ამ ჟამათ თავისი საზღვრები დაიცვას, ვინაიდან რუსეთის ახლანდელმა მთავრობამ ომი შესწყვიტა და სრული დემობილიზაცია გამოაცხადა. განაგრძობს ასეთ პირობებში ამიერ-კავკასია ომს, ის საერთაშორისო უფლების ძალით აჯანყებულ პროვინციათ გამოცხადდება, რასაც თანა სდევს ჩვენი ტყვეების უბრალო მეამბოხეებათ ჩარიცხვა. ეს ცოტაა. ამიერ-კავკასიის დემოკრატია არსებულ პირობებში მოკლებულია საშვალებას ოთხთა კავშირის სახელმწიფოებთან საზავო მოლაპარაკება გამართოს: რუსეთის პროვინციას არ შეუძლია საერთაშორისო სარბიელზე დამოუკიდებლათ გამოსვლა და ამ გზით თავისი ინტერესების უზრუნველყოფა. პირველსა და მეორე შემთხვევაშიაც ჩვენ დაგვრჩენია ერთადერთი გზა: ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის აღიარება.

მართალია ჩვენი რევოლიუციონური მოძრაობა მჭიდროთ დაკავშირებულია რუსეთთან. რუსეთის რევოლიუციის გამარჯვება ჩვენი გამარჯვებაა და პირიქით. სამწუხაროთ, ამ ჟამათ რუსეთში წარმოებს არა რევოლიუცია, არამედ გაშიშვლებული რეაქცია, ბალშევიკების ბატონობა, ამ ახალმოდის ანარქო-კომუნისტთა თარეში უსაშინელესი დესპოტიზმის გამეფებაა, რომელიც პაგრომებით და რევოლიუციონერთა დახვრეტით, ქონების დარბევით და მოქალაქეთა აწიოკებით ლამობს „კომუნისტთა“ დღეების გახანგრძლივების. ბალშევიზმის ბატონობა კრილოვ ალიხანოვთა რაზმების თარეშს წარმოადგენს. ამიტომაც იყო ამიერ კავკასია ძალაუნებურათ მოსწყდა ბალშევიკურ რუსეთს და ის იძულებულია საკუთარ ძალებს დაეყრდნოს.

დღეს ჩვენი დემოკრატიის წინაშე კითხვა ასე დგას: ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა თუ ოსმალეთის მიერ დაპყრობა?

ოსმალეთი წინ მოიწევს, ანადგურებს ხალხის სიმდიდრეს და რევოლიუციას ძირს უთხრის. თუ ვერ ურიგდება რუსეთის ბატონობას კავკასიონის ქედს აქეთ, ან დამოუკიდებელი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა არა და ოსმალეთის დროშის დარიალის ხეობაში აფრიალება—ასეთია ოსმალეთისა და გერმანიის მიზანი. სანამ ძლიერი იყო რუსეთი, ჩვენ მის კალთებს ვეფარებოდით და მასთან ჭირსა და ლხინშიაც ერთათ ვიყავით. ახლა კი დადგა საბედისწერო წუთი, როცა ჩვენ უნდა ვთქვათ, რა გვსურს ჩვენ: დამოუკიდებლობა თუ ოსმალთა მიერ დაპყრობა? ოსმალეთის ჩვენში გაბატონება რევოლიუციას დასამარებას უმზადებს. ეს ცოტაა. ეს მოასწავებს ჩვენი დემოკრატიის ფიზიკურათ განადგურებას. ასეთ პირობებში ჩვენ ვარჩევთ დამოუკიდებლობას.

ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ეს უებარი წამალია, რომელიც განკურნავს ხალხის ჭრილობებს და მას აღთქმის ქვეყანაში შეიყვანს. მარა ეს ამ ჟამათ ერთათ-ერთი გამოსავალია, თუმცა ეს გზაც მრავალ ხიფათს გვიმზადებს.

ჩვენი დემოკრატია ვალდებულია მდგომარეობა შესაფერათ ასწონდასწონოს, ის ექვს გარეშეა ამ გზას გაყვება და დამოუკიდებელ ამიერ-კავკასიის ფედერატიულ-დემოკრატიულ რესპუბლიკაში შეეცდება თავისი მიზნების განხორციელებას.

## ბალშევიკების საქმიანობა

დიდი ხნის დუმილის შემდეგ ისევ ალაპარაკდა ბალშევიკური პრესა. ამ ჟამათ ჩვენ ხელთა გვაქვს ბალშევიკურ გაზეთის „კავკაზსკაია რაბოჩაია პრავდა“ ს პირველი ნომერი.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ რუსეთში ბალშევიკურმა პარტიამ, რომელსაც სოციალ-დემოკრატიის მემარცხენე ფრთათ მოქონდა თავი, უკვე ჩამოიხსნა პირბადე და ყოველივე კავშირი გასწყვიტა მარქსიზმთან. ჯერ კიდევ შარშან ზაფხულში ლენინმა სოციალდემოკრატია ლეშათ გამოაცხადა და ახალ კომუნისტურ პარტიის შექმნისაკენ მოუწოდა თავის მიმდევრებს. მაგრამ მას სადემაგოგიოთ მაინც ესაჭიროებოდა სოციალდემოკრატიის სახელი. ამიტომ მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს იქნა გადაკეთებული ბალშევიკური პარტია „რუსეთის კომუნისტურ პარტიათ“.

„კავკაზსკაია რაბოჩაია პრავდა“ ორგანოა „რუსეთის კომუნისტურ პარტიის კავკასიის საოლქო და თფილისის კომიტეტებისა“.

საინტერესოა „კომუნისტ“ ბალშევიკების განმარტება ამის შესახებ. ჩვენ უკვე აღარ ვატარებთ სოციალ-დემოკრატიის სახელს, არამედ ვიწოდებით კომუნისტთა პარტიათ. ერთობ არასაიამოვნო მოგონებებია შეკავშირებული ძველ სახელთან. ოდესღაც დიდებული სახელი სოციალ-დემოკრატიისა წაბილწულია სოციალ შოვინისტების მიერ. სოციალდემოკრატებს უწოდებენ თავის თავს შეიდემანი და ბიქტორ ადლერი, პლეხანოვი და დანიო. ასეთ შემთხვევაში ჩვენი რაინდები როგორ მოითმენენ, რომ ბიქტორ ადლერთან და პლეხანოვთან თუნდაც სახელი აერთიბდეს მათ. მაგრამ რაც ყველაზე საინტერესოა, თურმე მარქსი და ენგელსიც არ იყვენ კმაყოფილნი ამ სახელწოდებით და ამიტომ იცვლიან ისინი სახელს.

როგორია ამ ყოფილ ბალშევიკების, აწ კი ანარქისტ-კომუნისტების საქმიანობა? იქნებ რამე ახალი ისწავლეს, იქნებ ძველი არქივიდან ზოგი რამ მაინც დაივიწყეს? არა.

პირველ ყოვლისა, ჩვეულებისამებრ, კომუნისტ-ბალშევიკების გაზეთმა განაახლა ძველი ბრძოლა დემოკრატიის და მისი ხელმძღვანელების წინააღმდეგ, რითაც ის ღირსეულათ ამოუდგა გვერდში „საქართველო“-„ვოზროჟდენიე“-ს რაზმს. ამ გზით ფიქრობენ ეს ახირებული კომუნისტები კონტრ-რევოლიუციის შემუსვრას. ბაქოში ისინი კავშირს კრავენ სომხის ნაციონალისტებთან, სოხუმში აფხაზეთის და იმავ სომხების ნაციონალისტებთან ერთად ანადგურებენ დემოკრატიულ ორგანიზაციებს და ცნობილ რევოლიუციონერს და ხალხისთვის წამებულ ბენია ჩხიკვიშვილს ატუსაღებენ, სამეგრელოში, ლეჩხუმში და ცხინვალის ხეობაში მათი სახელით და დახმარებით ყოფილი სტრაჟნიკები და მთავრობის მამასახლისები თავს ესხმიან ხალხს და მის საუკეთესო შვილებს—კეცხოველს, გიორგი მაჩაბელს და ლევან დადიშქელიანს ხოცვენ. და ახლა ეს შავი გმირები გამომდგარან და სოციალ-დემოკრატიის ლაფში ამოსვრას შესდგომიან. უპირველეს ყოვლისა ბალშევიკურ კომუნისტური გაზეთი ავრცელებს ყოვლად უსაფუძვლო ჭორს—ამიერ-კავკასიის მთავრობა მენშევიკების ხელმძღვანელობით ტრაპიზონში საიდუმლოთ მოქმედებს, ხალხის ზურგს უკან მისი ინტერესებით ვაჭრობსო. მერე მართალია ეს? განა სეიმმა საქვეყნოთ არ შეიმუშავა საზავო პირობები და დელეგაციას მიანდო ამ პირობების დაცვა ტრაპიზონში? იქნებ „პრავდა“ ჩვენს დანაშაულს იმაში ხედავს, რომ ბათუმი დავკარგეთ? განა ესენი არ იყვენ, რომ პროპაგანდა-აგიტაციით თუ ხულიგანურ აჯანყებების მოწყობით ხელს უწყობდენ თავდაცვის საქმის დაშლას, ანარქიის გაძლიერებას? და ყველა ამის შემდეგ ამ შავ გმირებს შესწევთ გამბედაობა დასწერონ: ამიერ-კავკასიის მენშევიკებმა მუსულმან ბეგებთან და ხანებთან და სომხის დაშნაკელებთან ერთად ტრაპიზონში ოსმალეთთან „საზავო მოლაპარაკების“ კომედია ითამაშესო. მაგრამ ეს ცოტაა. „პრავდას“ ცინიზმი და უსირცხვილობა იქამდე მიდის, რომ ქებითაც კი ამკობს ლენინ-ტროცკის მთავრობას იმ საარაკო ღალატისა და გამყიდაობისათვის, რომლის მსხვერპლი გახდა ამიერ-კავკასია, რომელსაც ბრესტში ბათუმი, ყარსი და არტაანი ჩამოაცილეს და ოსმალეთს გადასცეს. ამ მოღალატეებს თურმე ისე ღირსეულად ეჭირათ თავი ბრესტში, რომ ვილჰელმის აგენტების ქებაც კი დაიმსახურეს,—რუსი დელეგატები ჩვენ ისე გველაპარაკებიან, როგორც გამარჯვებულები დამარცხებულებსო — უთქვამთ თურმე გერმანელებს. მერე როგორ მოექცენ „დამარცხებული“ გერმანელები „გამარჯვებულ“ ბალშევიკებს? მათ მაინც მონობის უღელი დაადგეს მთელს რუსეთს და კერძოთ ამიერ-კავკასიას. მაგრამ „პრავდას“ გასამართლებელი პასუხიც მზათ აქვს: „მხოლოდ გერმანიაში დაწყებულ რევოლიუციონურ მოძრაობის დამარცხება გახდა ბრესტის მოლაპარაკების დამარცხების მიზეზიო“. ახლა აღიარებენ ბალშევიკები, რომ ისინი ყოველგვარ იმედს გერმანიაში მოსალოდნელ რევოლიუციონურ მოძრაობაზე ამყარებდენ. მერე ამისთვის დაანგრიეს მათ რევოლიუციონური და საზოგადოებრივი ორგანიზაციები? დღეს რომ ხალხს თავდაცვის წინააღმდეგ მოუწოდებენ, ბათუმის დაცვას რომ იმპერიალისტების საქმეთ აცხადებენ, ახლა ვისი-და იმედი აქვთ? ნუ თუ ოსმალეთის მუშათა კლასი, ან ოსმალეთის მუშათა და გლეხთა ორგანიზაციებია ის ძალა, რომელიც ჩვენ გვიხსნის? ასე სამასხაროთ იგდებენ ეს ანარქო-კომუნისტები ხალხს და მის ინტერესებს, ასე ლაფში სვრიან იმ საერთაშორისო დროშას, რომელიც დღეს ხელში უჭირავს ერთათ ერთს საერთაშორისო პარტიას—სოციალდემოკრატიას!

ასე მოშორდა სოციალდემოკრატიას ის ხორცმეტი, რომელიც დღემდის სოციალდემოკრატიის ოჯახის წევრათ ითვლებოდა, დღეს კი ოფიციალურათ აიხადა ის პირბადე, რომელსაც ის ატარებდა. წასვლა სჯობს წარმავალისა, არ დაყოვნება ხანისა.

## ახალი ორიენტაცია

როგორც მკითხველმა იცის ოქტომბრის რიცხვებში ბალშევიზმის წყალობით გაირღვა მთლიანი რევოლიუციონური ფრონტი და ამიერ-კავკასია ფაქტიურათ ჩამოშორდა რუსეთს, ხოლო ადგილობრივ საქმეების საწარმოებლათ დაარსდა ამიერ კავკასიის კომისარიატი. უმთავრესი პრინციპი, რომლითაც ხელმძღვანელობდა დღემდის ამიერ-კავკასიის მთავრობა, იყო ადგილობრივ რევოლიუციონურ დემოკრატიის მთლიანობის დაცვა და სხვადასხვა ერთა შეთანხმება. ამ დებულებიდან გამომდინარეობდა ერთი მთლიანი პოლიტიკური ხაზი. მაგრამ ამ ბოლო დროს ამიერ-კავკასიის ცხოვრებაში შემოიჭრა ახალი ძლიერი ფაქტორი—ომი, რომელმაც ძალზე შეარყია ზემოთ აღნიშნული პოლიტიკური კურსი. თუმცა ომი მეოთხე წელიწადია რაც სწარმოებს, მაგრამ დღემდის ამიერ-კავკასია თითქოს მოშორებით იდგა და ვერ გრძნობდა მის საშინელებას. ტრაპიზონის საზავო მოლაპარაკების შეწყვეტის შემდეგ სურათი შეიცვალა. ერთის მხრივ ოსმალეთის ჯარი მოადგა ჩვენ საზღვრებს და მეორეს მხრივ ბალშევიკები. ამიერ-კავკასიის მთავრობა იძულებული იყო ეწარმოებინა ომი ორ ფრონტზე. მაშასადამე, ამ საბედისწერო საათში უფრო აუცილებელი გახდა, ვიდრე წინათ, ყველა ერების შეკავშირება საერთო მტრების მოსაგერებლათ. მაგრამ სამწუხაროთ ეს არ მოხდა. „მუსავატმა“ თავიდანვე განაცხადა, რომ ოსმალეთთან ომის დროს „ნეიტრალიტეტს“ დავიცავო, ხოლო სომხის ჯარის ნაწილები ბაქოში „ბალშევიკებს“ შეუერთდენ. მაშასადამე მაშინ, როდესაც საჭირო იყო ყველა ძალების გაერთიანება, მოხდა ადგილობრივ ერების გათიშვა და ცალ-ცალკე გზით სიარული. აი სწორედ ამან გამოიწვია ის ნერვიული მდგომარეობა, რომლითაც შეპყრობილია დღემდის მთელი საზოგადოება. ქვეყნის თავდაცვისთვის პირველად ყოვლისა საჭიროა აღფრთოვანება. ეს აღფრთოვანება აკლია ჩვენს ცხოვრებას. გულახდილად უნდა ვაღიაროთ, რომ დღეს ხალხმა არ იცის, ვინ აწარმოებს ომს და ვინ არის ამ დროს მისი ნამდვილი მოკავშირე. როდესაც გამოირკვა, რომ ასეთ პირობებში შეუძლებელია ადგილობრივ ძალებით ომის წარმოება, მაშინ ზოგიერთ წრეებში დაიბადა აზრი ისევ „რუსეთის ორიენტაციისა“. მაგრამ დღეს, როგორც ვიცით, რუსეთი აღარავითარ სამხედრო ძალას არ წარმოადგენს და მაშასადამე მისი ორიენტაციაც უსარგებლო და უნაყოფო ოცნებაა. ესეც რომ არ იყოს, როგორც ვიცით ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობას ბალშევიკურმა რუსეთმა მოაწერა ხელი და პირდაპირ შეუძლებელია, რომ მისმა მთავრობამ დახმარება გაუწიოს იმას, ვინც არღვევს ამ ხელშეკრულობას. ამიერ-კავკასია ან ნაწილია რუსეთისა და მაშასადამე მან უნდა სცნოს ბრესტ ლიტოვსკის ხელშეკრულობა ან იგი დამოუკიდებელია და უნდა აწარმოვოს ომი დამოუკიდებლად. ასე დააყენა სინამდვილემ საკითხი. როგორც უკვე აღვნიშნეთ ზემოდ ამიერ-კავკასიას არ შეუძლიან ოსმალეთთან ომი აწარმოვოს, თუ მის შემადგენელ ერებში არ არსებობს ერთსულოვნობა. მაშასადამე, დაუყონებლივ უნდა დავადგეთ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობის ნიადაგზე. მაგრამ ამით არ წყდება ომის და ზავის საკითხი. ოსმალეთი მაინც განაგრძობს ომს და ბრძოლით წინ მოიწევს. მას უნდა დაიჭიროს მთელი ამიერ-კავკასია და შექმნას აქ გარდუვალი საზღვარი თავის და რუსეთ შორის. როგორი პოლიტიკა უნდა ვაწარმოვოთ ჩვენ ამ დროს? აქ შეიძლება გამოვნახოთ ორი გზა: ან შევებრძოლოთ იარაღით ხელში ოსმალეთს და მაშასადამე მის მოკავშირეების ძალასაც, რომელნიც მის უკან დგანან, ან გამოვაცხადოთ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა. ამაში ძალზე დაინტერესებულია გერმანია, რომელიც ამიერ-კავკასიაში ეძებს ეკონომიურ სარგებლობას. აი ამ გარემოებაში უნდა ვეძებოთ ახალი ორიენტაციის საფუძველი. ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობას ეყოლება მუდამ ძლიერი დამცველი გერმანიის სახით, რომელიც არ მისცემს ოსმალეთს ნებას, რომ იგი უბრალო პროვინციად გადააქციოს. მაშასადამე, ის ვინც იცავს ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობას, ემხრობა არა ოსმალეთს, არამედ გერმანიის ორიენტაციას.

ბოლო ელება მუდმივ რყევას და საძირკველი ეყრება ახალ ცხოვრებას. ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა დღევანდელ პირობებში ნიშნავს არა მარტო „დამოუკიდებლობას“, არამედ ორიენტაციის შეცვლასაც.

რათ დასჭირდა ქართველ ერს ორიენტაციის შეცვლა? იმიტომ, რომ მას, როგორც პატარა ერს არ შეუძლიან უორიენტაციოთ ცხოვრება. ამ ასი წლის წინათ რუსეთი მართლა ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდა და პატარა საქართველომაც მას შეაფარა თავი. შეიძლება სხვადასხვა აზრისა ვიყოთ რუსეთის მნიშვნელობაზე საქართველოსთვის, მაგრამ ერთი კი აშკარაა ყველასთვის, რომ რუსეთმა ქართველი ერი ფიზიკურ განადგურებას გადაარჩინა. დღეს, როდესაც ქართველი ერი დგას იმავე საფთხის წინაშე და აღარ მოელის რუსეთიდან შველას, იგი ეძებს ახალ მოკავშირეს. რუსეთის ორიენტაცია გერმანიის ორიენტაციით იცვლება—ამაშია დღევანდელი მომენტის მნიშვნელობა. მაგრამ ორიენტაციის შეცვლა უბრალო პოლიტიკური საკითხი კი არ არის, არამედ—სულიერი განცდაც. საზოგადოებაში იბადება ერთგვარი ატმოსფერა, რომელიც ძალზე აღელვებს და აფიქრებს ყველას. ამით აიხსნება ის ჰამლეტისებური სულიერი რყევა, რომლითაც იყო შეპყრობილი დღემდის ჩვენი საზოგადოება. დღეს ასეთ სულიერ მდგომარეობას ბოლო ელება. აღსრულდა!.. რუბიკონი გადავლახეთ!..

დ. ონიაშვილი.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### რას სწერენ კავკასიის შესახებ?

სატახტო ქალაქის გაზეთებში ბევრს სწერენ კავკასიის შესახებ. ბევრს სწერენ საერთოდ ბალშევიკური გაზეთები. და სწერენ ისეთივე „სისწორით“ და „მიუდგომლობით“, როგორც თფილელი, გინდ ბაქოელი ბალშევიკები.

საზეთ „ვპერიოდ“-ში (№ 51) ამხ. ლ. მარტოვი აძლევს რა პასუხს ბალშევიკებს, სხვათა შორის სწერს: „ინსინუაციაა, თითქოს კავკასიაში მენშევიკები „გლეხთა აჯანყებებს“ ახრჩობდენ და მემამულეებს ეხმარებოდენ. როგორც მოსალოდნელი იყო, ბ. სოსნოვსკიც და სტალინიც გლეხთა აჯანყებას უწოდი-

ბენ იმ ავაზაკების მოქმედებას, რომელთაც გლეხები ტერორის საშვალებით დასჩინებული ჰყავთ, რომელი ავაზაკებიც ქლეტენ და ძარცვავენ როგორც ემამულეთა, ისე სხვათა ოჯახებს. ამ ავაზაკების წინაალმდეგ ადგილობრივი საბჭოები (მენშევიკური) სასტიკ ბრძოლას აწარმოებენ. ამისთვის მენშევიკებს კავკასიელი მონარქისტო ბალშევიკები ბრალს სდებენ მემამულეთა დაცვაში, ისე, როგორც რუსეთის ბალშევიკებს ბრალს სდებენ კაპიტალისტების დაცვაში თავდამსხმელი ანარქისტები, როცა ამ ანარქისტების წინააღმდეგ საბჭოები გამოდიან. კავკასიელ ბალშევიკებს გაჩენიდანვე ჰქონდათ დამოკიდებულება სხვადასხვა ექსპროპრიატორულ საქმეებთან. ეს კარგათ მოეხსენება თვით ბ ნ სტალინსაც რომელიც თავის დროზე გარიცხულიც კი იყო პარტიულ ორგანიზაციიდან ექსპროპრიაციის საქმეში მონაწილეობისათვის. მე აღვნიშნე, რომ კავკასიის სახრჩობელების და დახვრეტათა შესახებ წერილების დაბეჭდვა „პრავდა“-ს იმიტომ დასჭირდა, რომ ასეთი „საარტილერიო სროლის“ შემდეგ ბალშევიკურმა მთავრობამ იერიში მიიტანოს კავკასიაზე იმ მიზნით, რომ ის შემოიერთოს, იმ მიზნით, რომ ლენინის მიერ გაცემული ვექსილი ბათუმის, ყარსის და არტაანის ოსმალეთისთვის გადაცემის შესახებ განაღდებულ იქნას. საკითხი, როგორც სჩანს, ასეა დაყენებული. სახალხო კომისართა საბჭომ პროტესტიც კი მიმართა კავკასიის სეიმს იმის გამო, რომ სეიმი არ სცნობს ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულობას, აცხადებს დამოუკიდებლობას და დამოუკიდებლათ იწყებს საზავო მოლაპარაკებას.

მაგრამ რა საბუთის ძალით აცხადებს სახალხო კომისართა საბჭო პროტესტს? საბჭოთა რესპუბლიკამ ხომ ყველა ერს მიანიჭა თვითგამორკვევის უფლება, სრულიად გამოყოფვაც კი. ის არა თუ პროტესტს აცხადებს ფინლიანდიის და უკრაინის გამოყოფვის შესახებ, არამედ —ბრესტის ხელშეკრულობის ძალით ვალდებულათ იხდის თავს ამ ქვეყნების მთავრობათა წინააღმდეგ ბრძოლა არ აწარმოვოს. და მხოლოდ კავკასიას ეუბნება უარს გამოყოფაზე ეს ხალხი. უარს ეუბნება ის ხალხი, რომლებმაც გოგოლის ნოზდრევის მსგავსათ, რომელმაც „შეცდომით“ გაჰყიდა მისი მამულის მახლობლათ მდებარე ტყე—ამათაც გერმანია-ოსმალეთს დაუთმეს ბათუმი და ყარსი, რომელიც მათ არ ეკუთვნოდათ.

მე კიდევ ვაყენებ საკითხს: ლენინი და კომპ. ემზადება თუ არა კავკასიის წინააღმდეგ გასალაშქრებლათ ბრესტის ხელშეკრულების სისრულეში მოსაყვანათ? საარტილერიო მომზადების შემდეგ სახალხო კომისართა საბჭოს პროტესტი პროლოგი ხომ არ არის სამხედრო მოქმედების დაწყებისა?“...

— მემარცხენე ესერებიც იარაღს ისხამენ, „შემთანხმებელთა“, მემარჯვენე ესერთა და მენშევიკების წინააღმდეგ. მათი გაზეთი „ზნამია ბორბი“ სწერს:

„დღეს ომის მომხრენი სტამბოლის და სრუტეების შემოერთებამდე ხვალ მოითხოვენ უანექსიო და უკონტრიბუციო ზავს. დღეს ამბობენ, რომ არ შეიძლება ზავზე ხელის მოწერა იმპერიალისტურ სახელმწიფოებთანო, ხვალ რუსეთის დემოკრატიის და საბჭოთა რუსეთის ზურგს უკან აწერენ ხელს ამგვარ ზავზე. რუსეთის დემოკრატიის და საბჭოთა ზურგს უკან აწარმოებენ მოლაპარაკებას იმპერიალისტურ ქვეყნებთან და ხელს აწერენ ყოვლად სამარცხვინო ზავზე.

და კავკასიაც, ეს ჩხეიძის, წერეთლის და სხვათა თავშესაფარი მყუდრო ნავთსაყუდელი ამ მხრით გამონაკლისს არ შეადგენს“.

მემარცხენე ესერებს „ნოვაია ჟიზნი“ ასე უპასუხებს: „მემარცხენე ესერები იმით არიან აღშფოთებულნი, რომ კავკასიის სეიმი დამოუკიდებლათ შეუდგა ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკებას. მოსატანია თუ არა აქ ამ „აჯანყებულ რევოლიოციონერთა“ პათოსი, რომელსაც „სეპარატიულად“ არ სცნეს ბრესტის ხელშეკრულობა. და განა კავკასიამ თავისი დემოკრატიის ზურგს უკან უარყო თავისთვის მიუღებელი, როგორც ესერები უწოდებენ, მეტათ სამძიმო და სამარცხვინო ზავის პირობები? და ნუ თუ კარახანი და სოკოლნიკოვი კავკასიის დემოკრატიის ზურგს უკან არ მუშაობდენ, როცა ხელი მოაწერეს ბრესტში ბათუმის, ყარსის და არტაანის გადაცემის შესახებ?“

## კავკასიის ფრონტი

(ოფიციალური ცნობა)

**8 აპრილი.**

სარაყამიშის მიმართულებით ცვლილება არ მომხდარა.

შავი ზღვის პირის რაიონიდან შეღამებისას „ჩეტნიკების“ ერთი ჯგუფი ოზურგეთის მაზრაში შევიდა და ზურგში მოექცა ჩვენს სადარაჯო „პოსტებს“.

**9 აპრილი.**

შავი ზღვის პირის რაიონიდან გუშინ 15 საათზე მტერმა შეტევა დაიწყო ქალაქ ოზურგეთისაკენ.

პირველი იერეშები ჩვენ მოვიგერიეთ.

ოზურგეთის სამხრეთით მთელი დღე ბრძოლა იყო. იმავე დღეს ჩვენ შეტევა დავიწყეთ რკინის გზის მიმართულებით, რასაც დახმარება გაუწია ჯავშნიანმა მატარებელმა.

აქ ოსმალებმა უკან დაიხიეს დიდის ზარალით.

დამატებითი მიღებული ცნობების თანახმად ოზურგეთი ოსმალებმა აიღეს.

სარაყამიშის მიმართულებით ცვლილება არ მომხდარა.

## ახალი ამბები

**დღეს, საღამოს 6 საათზე, დანიშნულია რ. ს. დ. მ. პ. თფილისის კომიტეტის სხდომა.**

◆ **ნატანებიდან ჯავშნიანი მატარებლის № 4 უფროსი ვალ გოგვაძე შემდეგს იტყობინება: 8 აპრილს გათენებისას ჩოლოქის ხიდს გაღმა ჯავშნიანი მა**ტარებელი მტრის რეგულიარულ ჯარებს შეებრძოლა. მტერი ჩოლოქის ხიდზე გადმოსვლას ლამობდა. ოთხი საათის ბრძოლის შემდეგ მტერი დავამარცხეთ და უკუვაქციეთ დიდი ზარალით. ამ დროს მოგვეშველა ქვეითი, ჯარი და გაქცეულ მტერს დაედევნა. ჯავშნიანის „კამანდიდან“ მოკლულია სამი—ბარნაბ გოგვაძე, ანდრო ცეცხლაძე და კირილე ბოლქვაძე. მძიმეთ დაგვიჭრეს 12, მსუბუქათ 13. თვითონ მე ოთხ ალაგას დამჭრეს მსუბუქათ. ჯავშნოსანს კვლავ ვხელმძღვანელობ.

◆ **ახალციხის მდგომარეობა.** ამიერკავკასიის მთავრობამ დეპეშა მიიღო ბორჯომიდან, რომ ახალციხეს თათრებმა ალყა შემოარტყეს. თხოულობენ დახმარებას.

◆ **დელეგაციის ჩამოსვლა.** ახალ ბაიაზეთიდან თფილისში ჩამოვიდა დელეგაცია, რომელმაც განაცხადა, რომ იქ მობილიზაციის საქმე კარგათ მიდის, ჯარში მრავლათ ეწერებიან და ყოველ დღე იგზავნება ეშელონები.

◆ **თელავის ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციების** შეერთებულ კრებას დაუდგენია სთხოვოს სეიმს ჩამოაგდოს ზავი ოსმალეთთან ბრესტის ხელშეკრულობის ნიადაგზე და მობილიზაცია გაატაროს შემდეგი თავდაცვისთვის.

◆ **მკვლელობა.** 9 აპრილს, ღამით, ჩერქეზიშვილის ქუჩაზე, რკინის გზის ხიდთან იპოვეს ზაქარია ცეციანოვის გვამი.

◆ **ქალაქის გამგეობის** სასურსათო განყოფილებამ დააწესა ნიხრი პირველ საჭიროების საგნებზე. ამ ნიხრს დრო გამოშვებით გადაშინჯავენ და შეცვლიან ბაზრის მდგომარეობის მიხედვით. ნიხრი საჭიროა სპეკულიაციის წინააღმდეგ საბრძოლველათ. ყველა მოქალაქე ვალდებულია მხოლოდ ნიხრის თანახმად იყიდოს საქონელი. დამნაშავენი ნიხრის და აგრეთვე სასურსათო საქმის შესახებ სხვა დადგენილებათა დარღვევისათვის სასტიკათ დაისჯებიან.

◆ **ძარცვა.** 9 აპრილს ავჭალის შესახვევში მილიციონერებმა იპოვეს ხეზე მიკრული ადამიანი. როგორც გამოირკვა, იგი გაუძარცვავთ ბოროტგამზრახველებს, წაურთმევიათ მისთვის 13830 მანეთი.

◆ **უკრაინელები და მობილიზაცია.** მთავრობის განმარტების თანახმათ მობილიზაციის შესახებ კანონი არ ეხება იმ უკრაინელებს, რომლებიც დროებით ცხოვრობენ ამიერ-კავკასიაში. ჯარში გაიწვევენ მხოლოდ იმათ, ვინც შემდეგშიაც აპირებს ამიერ-კავკასიაში დარჩენას.

◆ **სოხუმიდან დეპეშით გვატყობინებენ**, რომ იქ გარდაცვლილა ქართული სკოლის მასწავლებელი, საზოგადო მოღვაწე, ნიკო სიმონიძე ჯანაშია.

◆ **ქართ. დრამატ.** ახალ დასისთვის სუფლიორის თანამდებობაზე საჭიროა ინტელიგენტი საშუალო სასწავლებელ გათავებული ქალი, რომელიც სრულიად თავისუფალი უნდა იყოს სხვა საქმისაგან—დრამატ. საზოგ. კანტორა ღიაა 10—2 და 4—6 სათ. გოლოვინის პროსპექტი № 11.

◆ **კავკასიის ფრონტის სალიკვიდაციო კომისია** აცხადებს ბათუმის, ყარსის ოლქ. და ტრაპიზონის რაიონ. მცხოვრებთა საყურადღებოთ, რომ მომქმედი ჯარის მიერ ჩამორთმეულ ან განადგურებული ქონებათა ასანაზღაურებლათ თხოვნით უნდა მიმართონ მთხოვნებლებმა სალიკვიდაციო კომისიას თფილისში, სასახლის ქუჩა № 6.

### კრებები და მიტინგები.

მე-4 სამილიციო უბნის მცირე კოლექტივი იწვევს ყველა თანამგრძნობ და პარტიულ წევრებ ქალებს, მცხოვრებთ მე-4 სამილიციო უბანში საერთო ქალთა ყრილობაზე, სამშაბათს, 10 აპრილს, საღამოს 4 საათზე. რადგანაც გასარჩევია ფრიად საყურადღებო საკითხები ამხ. ქალებს ვთხოვთ აუცილებლათ დაესწრონ სახელოსნო სასწავლებელში (ეგზარხის ქუჩა).

— დღეს (10 აპრილს) საღ. 5 საათზე შესდგება მეოთხე რაიონის სოციალდემოკრატიულ ორგანიზაციის ქალთა კრება. გთხოვთ აუცილებლათ დაესწრათ, როგორც ამხანაგები, ისე თანამგრძნობები (უდელნის ქუჩა № 3).

— დღეს, საღამოს 7 საათზე შესდგება მეორე სამილიციო უბნის მცირე კოლექტივის სხდომა, მეორე საუბნო სასურსათო კომიტეტის ბინაზე (გრიბოედევის და გოლოვინის ქუჩ. კუთხე).

## პეტროგრადიდან თფილისამდე

პეტროგრადში მცხოვრებ ქართველთა კომიტეტმა მოინდომა მოეწყო კავკასიაში წამომსვლელთა განსაკუთრებული მატარებლით გამოგზავნა.

კომიტეტმა გაიგო, რომ ქ. კოსტრომაში დგას ბაქოელების ხარჯით მოწყობილი სანიტარული მატარებელი. ბალშევიკების მთავრობის ნებადართვით კომიტეტმა ეს მატარებელი ჩამოაყვანინა პეტროგრადში და ამ მატარებლით 30 მარტს (ახ. სტ.) გამოვემგზავრეთ კავკასიაში მომავალნი ქართველ-სომეხ-რუსებრაელები ქალი და კაცი, რიცხვით 150 დე.

იმ ხანებში პეტროგრადიდან ნებადაურთველათ წამოსვლა აკრძალული იყო და ჩვენთვის კომიტეტმა ბალშევიკების მთავრობისაგან ნებართვა აიღო.

როსტოვამდე უხიფათოდ ჩამოვედით —გზაში არც კი გაუჩხრეკივართ. როსტოვში სასტიკათ გაგვჩხრიკეს. ზოგიერთებს იარაღი მოჰქონდა. ჩამოართვეს. გვითხრეს: აქ რამდენიმე დღე დარჩებით რადგან კავკასიისკენ გზა შეკრულია—კორნილოვს ვეომებითო.

მეორე დღეს საღამოს მოსკოვიდან სახალხო მატარებელი მოვიდა. ამ მატარებელს როსტოვში დიდი ამბით შეხვდენ. სადგურის ბაქანიდან ხალხი გარეკეს, 200-ზე მეტი შეიარაღებული სალდათი აქა-იქ ჩაასაფრეს· ტყვიისმფრქვეველიც დადგეს სადგურზე.

ეს დავიდარაბა და მზადება გამოიწვია თურმე იმან, რომ ამ მატარებლით მოდიოდა პეტროგრადში შემდგარი „ივერიის პოლკის“ კომანდა (აფიცრობა). ყოველივე მშვიდობიანათ გათავდა—ჩამოსულებს დოკუმენტები რიგზე აღმოაჩნდა. რასაკვირველია, სულყველანი ისინი პეტროგრადიდან ბალშევიკების მთავრობის ნებადართვით იყვენ წამოსულნი. მთავრობის ნებადართვითვე მათ განკარგულებაში იყო სამგზავრო მატარებლის ორი ვაგონი და იქ ცხოვრობდენ. იმათი მატარებელიც შეაჩერეს როსტოვში.

ჩვენთან ჩამოსულებს—ზოგიერთებს, ვისაც ნებართვა ჰქონდა იარაღის ტარების—იარაღი დიდი დავიდარაბის შემდეგ უკან დაუბრუნეს. თან გვეუბნებოდენ—სულ ერთია: სადგურ კავკასკაიაში თუ არა, ტიხორეცკაიაში უსათუოდ წაგართმევენო და თან გვირჩევდენ კარგათ შეგვენახა.

ჩვენებმა შეინახეს იარაღი, მარა ტიხორეცკაიაში დიდათ დახელოვნებულან ჩხრეკაში და მიმალული იარაღი აღმოაჩინეს. იქ წაგვართვეს არამც თუ იარაღი, არამედ—მატარებელიც. სანიტარული მატარებელი ჩვენც გვინდაო—გვითხრეს.

აი აქ ამ სადგურში დაგვეწია სახალხო მატარებლით „ივერიის“ პოლკის კომანდა.

ისინი ისე მაგრათ არ გაუჩხრეკიათ, როგორც ჩვენ. გამოირკვა, რომ მათი მატარებელი ჩვენზე უფრო ადრე წავა და რადგან მათ ვაგონებში თავისუფალი ალაგი იყო, ჩვენგნით მათთან გადავიდენ რამდენიმე პირი: სტუდენტები ნაკაშიძე და მიქელაძე, ვაჭარი ამირაჯიბი ოფიცერი ქლენტი და სხ. ისინი წავიდენ,—ჩვენ დავრჩით ტიხორეცკაიაში მეორე ღამემდე, როდესაც საბოლოოთ გამოირკვა, რომ ჩვენ სანიტარულ მატარებელს არას გზით არ მოგვცემენ. გადავედით საქონლის უბრალო ვაგონებში და გავსწიეთ არმავირისაკენ.

იქ ჩასვლისთანავე გავიგეთ, რომ „ივერიის“ პოლკის კამანდა და მათთან ვაგონში მჯდომნიც დაუჭერიათ და დამთვრალ, გაბოროტებულ-გახულიგანებულ ბრბოს მოეთხოვა მათი დახვრეტა... მიზეზი—იარაღი ეპოვნათ მათთვის. უნდა ვთქვა, რომ იმ ხანებში დონის და ყუბანის ოლქებში დიდი არევ დარევა იყო. კორნილოვის და ბალშევიკების ჯარს შორის ხან იქ, ხან აქ შეტაკება ხდებოდა. ქ. ნოვოჩერკასკში და შემდეგ ყველა სადგურზე შეიარაღებული ხალხი ბლომათ იყო—ყველა ღელავდა—ბობოქრობდა.

არმავირში ჩვენს ჩამოსვლის წინა დღეს საალყო წესები გამოეცხადებიათ, რადგან კორნილოვის მომხრეების დაცემას მოელოდენ. თან ქალაქში ბევრ ალაგას ჩხრეკა მოეხდინათ. ჩხრეკის დროს ღვინო და სპირტი ეპოვნათ და ჯარის ერთი ნაწილი დამთვრალიყო.

აი ასეთ დროს ჩამოვიდენ ის საცოდავები. და აი ამ დამთვრალ ბრბოს მოუთხოვია მათი დახვრეტა. ესენი კორნილოვთან შესაერთებლათ [illegible] გაიძახოდა ბრბო თურმე.

თითონ არმავირის საბჭოს ბევრი ეშრომა, რომ ისინი ბრბოსგან ეხსნა. დიდი ენერგიით და თავგანწირვით ეშრომათ არმავირში მცხოვრებ ქართველებს... როგორც იყო, ბრბო დათანხმებულიყო ციხეში ჩაესვათ გასასამართლებლათ „ივერიის“ პოლკის კომანდა.

იმ საღამოსვე ჩამოვედით ჩვენ. თუ როგორ შეგვხვდენ და რა პირობებში ვიმყოფებოდით იმ ღამეს, ამაზე ვიტყვი მხოლოდ ერთს:

ბევრჯერ ვყოფილვართ ცუდ, უხეირო, საშიშ მდგომარეობაში, მარა ისეთში-კი როგორც იმ ღამეს არმავირში ვიყავით, —არასოდეს.

ყოველ წუთში მოველოდით დამთვრალი ნაწილი სალდათებისაგან დარბევას და დახოცვას...

ბრბოს დასამშვიდებლათ გამოგვაცხადეს დაპატიმრებლათ. ჩაგვკეტეს ჩვენს ვაგონებშივე.

მეორე დღეს გაჩხრეკის შემდეგ ყველანი წაგვიყვანეს საბჭოში, მერე გამომძიებელ კომისიაში. რასაკვირველია, იქ ყველანი გაგვანთავისუფლეს. დიდი დახმარება გაგვიწიეს იქაურმა ქართველებმა.

„ივერიელებს“ და ჩვენს შესახებაც განსაკუთრებული როლი ითამაშა ქავჯარაძემ, რომელიც ითვლებოდა „არმავირის საოლქო-სამხედრო აგიტატორათ“, რომ ის არ ყოფილიყო, შესაძლებელია ჩვენ დავეხოცეთ პირველ ღამესვე...

იმ ღამეს თითქმის ყველანი დასაძინებელ-დასასვენებლათ იქაურმა ქართველებმა წაგვიყვანეს თავ-თავიანთ ოჯახებში.

მეორე დღეს მივიღეთ „პროპუსკი“ და უმრავლესობამ ტუაფსისკენ გავსწიეთ. მეორე ნაწილი—აკაკი ხოშტარია, სპირიდონ კედია და სხ. კავკავისაკენ წავიდენ. ტუაფსეში ჩამოვედით აპრილის 13, სადაც ორი დღე გემებს ველოდით.

აი აქ დაგვეწია არმავირიდან გამოქცეული ქავჯარაძე, ვინაიდან მისთვისაც დახვრეტა გადაეწყვიტა ბრბოს. და გაგვაგებია, თუ რა საშინელება დატრიალდა ჩვენი წამოსვლის შემდეგ.

ბრბოს და მთვრალ ჯარისკაცებს ციხესთან მოეყარათ თავი და მოეთხოვათ დაპატიმრების გასამართლება. ვერც საბჭო და ვერც ქართველები ვერაფერს ვერ გამხდარიყვენ. აერჩიათ იქვე ხუთმეტი მოსამართლე და ებრძანებიათ:— სიკვდილი სულ ყველას, თორემ თქვენ თვითონ დაგხოცავთო...

სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს და მხეცურათ დახოცეს 38 კაცი („ივერიელები“ და მათთან მომავალნი). უმრავლესობა რუსი და პოლონელები იყო ისინიც ოსმალეთთან საბრძოლველად მოდიოდენ.

დახოცილთა გვარები არ იცოდა ქავჯარაძემ, გარდა ქართველებისა. ქართველების გვარები „ერთობაში“ იყო დაბეჭდილი.

ვწუხვარ ერთს: თავის დროზე ვერ მივაწოდე საზოგადოებას ცნობები.

დარწმუნებული ვარ, მაშინ ამ საშინელ მხეცურ—ქლეტა-ხოცვას უდანაშაულო ადამიანებისას ახსნიდენ იმით კი

## პეტროგრადის მუშები

ჩვენ ხელთ ჩაგვივარდა პეტროგრადის მუშათა ფაბრიკა ქარხნების წარმომადგენელთა კონფერენციის ორი არა ჩვეულებრივი კრების ანგარიში. ამ ანგარიშიდან აშკარათ სჩანს, თუ როგორ ერკვევა თანდათან პეტროგრადის მუშათა კლასი იმ საშინელ მდგომარეობიდან, რომელშიაც ის სახალხო კომისარების საბჭოს პოლიტიკამ ჩააყენა. მოგვყავს შემოკლებით ამ ორი კრების ანგარიში.

პირველი კრება მოხდა 13 მარტს. დაესწრენ შემდეგი ფაბრიკა-ქარხნების რწმუნებულნი: პუტილოვის, სემიანიკოვსკის, ობუხოვის, ბალტიის, ალექსანდროვის სამექანიკო, თოფის წამლის, სიმენსკი და გალსკე, ვესტინგაუზის, ნიკოლაევის რკინის გზის სახელოსნოს, პალის, მაკოველის, ბლიკგენის, და რობინსონის, ელექტრონის სადგურის, გოლიკეს, „კაპეიკას“, „სლოვოს“ პირველ და მეექვსე სახელმწიფო სტამბების და სხვა.

თავმჯდომარე ბერგი აცნობს კრებას იმ მიზეზებს, რამაც გამოიწვია ამ კრების მოწვევა. ის ამბობს, რომ საჭიროა მუშათა ორგანოს შექმნა, პეტროგრადის პროლეტარიატის გასაერთიანებლათ. პროფესიონალური კავშირები დაანგრიეს, საბჭოები სამოსამართლო პალატებათ, სააქციზო დაწესებულებებათ, საპოლიციო უბნებათ გარდაიქცენ. ამ ორგანოებმა უფლება დაჰკარგეს მუშების სახელით ილაპარაკონ. ჩვენ ზომები უნდა მივიღოთ ჩვენი ორგანიზაციების აღსადგენათ და გამოსაცოცხლებლათ. ჩვენი კრება უკანასკნელი არ არის, ჩვენ კიდევ გავმართავთ ასეთ კრებებს და განვიხილავთ ჩვენ მდგომარეობას. ამ კრების მომწვევი ბიურო წინადადებას იძლევა მიიღოთ შემდეგი დღიური წეს-რიგი: ანგარიშები ქარხნებიდან, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა მომავალ ყრილობის თაობაზე; ჩვენი მახლობელი მიზნები, სასურსათო საკითხი, ევაკუაციის საკითხი, მუდმივი ბიუროს არჩევა და სხ. წინადადებას კრება ღებულობს.

**ბოგდანოვი.** სამ მარტს გაიმართა მუშა სოციალისტების და უმუშევართა კრება, რომელსაც უნდა გამოერკვია პეტროგრადის მუშათა დღევანდელი მდგომარეობა.

კრებამ აღნიშნა, რომ არსებულ ორგანიზაციების მოქმედება მიზანს დაშორდა. პროფესიონალური კავშირები სამეურნეო ცხოვრების მოწესრიგებაში იღებენ მონაწილეობას და როგორც მუშათა კლ. ინტერესების დამცველი ორგანოები მნიშვნელობას ჰკარგავენ. ქარხნის კომიტეტები წარმოებების ძალათ ხელში ჩაგდების საქმეს ეწევიან. დეპუტატთა საბჭოები მთავრობის ორგანოებათ გარდაიქცენ და პროლეტარიატის კლასობრივ წარმომადგენლობის ხასიათი დაჰკარგეს. მუშები დარჩენ უმწეოთ, მათ აღარა აქვთ დამცველი ორგანოები, ამისთვის საჭიროა ამ კრებამ გამოარკვიოს მდგომარეობა და გამონახოს გამოსასვლელი გზა.

სიტყვა ეძლევა მილების დამმზადებელ ქარხნის რწმუნებულს.

მილების დამმზადებელ ქარხანაში—ამბობს ორატორი—ორი თვის განმავლობაში შეუძლებელი შეიქნა ქარხნის კომიტეტის ხელ ახლა არჩევა, მიუხედავათ იმისა, რომ ქარხნის საზოგადო კრებამ ოთხჯერ გამოიტანა დადგენილება კომიტეტის ხელ ახლა არჩევის შესახებ. ამ დადგენილებას არ ემორჩილებოდა შეიარაღებულ ძალაზე დაყრდნობილი ქარხნის კომიტეტი. ორ თვეზე მეტია, რაც ქარხანა აღარ მუშაობს.

დაიწყო მანქანების ევაკუაცია; რაც შეეხება მუშებს ამ ხნის განმავლობაში, თითქოს თავის სურვილით, ქარხანას თავი დაანება ათი ათასმა კაცმა, დანარჩენებს დღეიდან დაითხოვენ. ამ მდგომარეობის გამო მუშებში დიდი უკმაყოფილებაა ბალშევიკების წინააღმდეგ. საზოგადოთ ქარხნის კომიტეტი მეტათ უტიფრათ ექცევა მუშებს, ემუქრება ტყვიისმფრქვეველებით და სხვა.

**ბოლოტოვი** (ვესტინგაუზის ქარხანა). ქარხანაში ევაკუაციის საკითხი დადგა. მუშებმა სახალხო მეურნეობის საბჭოში დეპუტაცია გაგზავნეს ევაკუაციის პირობების გამოსარკვევათ, მაგრამ საბჭოში არც ერთ კითხვაზე პასუხი არ მოგვცეს. ვეკითხებით: საით წავიდეთ? საითაც გინდათ! როგორ წავიდეთ? როგორც გინდათ! რა წავიღოთ? რაც გინდათ! ამგვარათ საბჭოში ვერაფერი გავიგეთ.

**ლიტოვინი** (ნობელის ქარხანა). მოხდა ქარხნის ნაციონალიზაცია. მუშათა ნაწილი წითელ ჯარში შევიდა, ნაწილმა რაღაც მფრინავი ბათალიონი შეადგინა. ამ დღეებში შლიაპნიკოვისაგან (შრომის კომისარი) განკარგულება მივიღეთ გვემუშავნა მანამდე, სანამ საფრთხე არ მოელის პეტროგრადს. მუშებმა დაადგინეს აღარ იმუშაონ და ქარხნიდან ლითონი არ გაუშვან. შლიაპნიკოვის ასეთი განკარგულება საიდუმლოებით არის მოცული. როცა დადგა საკითხი ქარხნის კომიტეტის ხელახლა არჩევის შესახებ, ბალშევიკებმა მიმართეს სარაიონო საბჭოს, იმან კიდევ სმოლნის, იქიდან კი ფიცხელი ბრძანება მოვიდა არ მოგვეხდინა ხელახალი არჩევნები. როცა განკარგულება მოვიდა ევაკუაციის შესახებ, ჩვენ მივმართეთ რაიონულ საბჭოს გაეგებინებია რაში იყო საქმე. იქიდან გვიპასუხეს ოჯახების გაყვანა აკრძალულია, უნდა გაიტანოთ მხოლოდ მანქანები და ეს უკანასკნელები იმიტომ, რომ „მუშები სულით არ დაცემულიყვენ“, გაეგოთ მოსალოდნელი საფრთხე და ჩაწერილიყვენ წითელ ჯარში, ერთი სიტყვით, სადაც არ მივმართეთ ვერაფერი გავიგეთ. შარშან მუშები ყვიროდენ „ძირს ნიკოლოზიო“, ეხლა კი ყვირიან—„ძირს ბალშევიკებიო“

**ზიმნიცკი**—(რეჩკინის ქარხანა). მთელი ქარხნის მუშების სულიერი განწყობილება ეხლა სულ სხვა არის, ვიდრე წინათ იყო. ჩვენი ქარხნის საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ უკეთუ ქარხანამ მიიღო მენშევიკების რეზოლიუცია, ჩვენ გადავდგებითო, მაგრამ მაინც არ გადადგენ. დიდი ხანი არ არის, რაც ქარხანა სამი დღით დახურეს, რადგანაც მან მიიღო რეზოლიუცია სახალხო კომისარების წინააღმდეგ.

**ჟუჩკოვი**—(რეჩკინის ქარხანა). მუშები სასოწარკვეთილ მდგომარეობაში არიან, ისინი დარწმუნდენ, რომ ყველაფერი იღუპება. ამას წინათ წავიდენ სამუშაო ქირის მისაღებათ, მათ უპასუხეს, წადით და დამფუძნებელი კრება მოგცემთ ფულებს, რადგან თქვენ მას მიეცით ხმაო.

**ვეხიოლოვი** (სახელმწიფო სტამბა). ჩვენ ვიფიქრეთ რა მოგვივა, რომ მთავრობა აქედან გავიდეს სამუშაო არა გვაქვს, ქარხნის კომიტეტები ჩიხში არიან მომწყვდეულნი. მუშებმა რეზოლიუცია გამოიტანეს, რომ უკეთუ მთავრობა წავიდა, მუშებისთვის დასარიგებელი ფული გადასცენ სამეურნეო კომიტეტს. ამ დღეებში ქაღალდი მივიღეთ, რომ თვე ნახევრის ჯამაგირი მიიღეთო, მაგრამ თუ პეტროგრადიდან წასვლა გინდათ, ვერავითარ დახმარებას ვერ მოგცემთო. ვინც წასვლას მოახერხებს, ის უფლებას კარგავს ექვსი თვის განმავლობაში პეტროგრადში შემოსვლისო. გუშინ საბჭოს კრებას ლუნაჩარსკი დაესწრო და შრომის კომუნაზე ილაპარაკა. მასსამ კი არაფერი არ იცის, რა არის ეს შრომის კომუნა.

**აბრამოვი** (ნევის გემების ამშენებელი ქარხანა) სახალხო კომისარების გზა დაბნეულმა მოქმედებამ ისეთი მდგომარეობა შექმნა, რომ მუშებმა ყოველივე იმედი დაჰკარგეს, მათ აღარაფერი აღარ სწამთ, აღარავითარი იმედი აღარ აქვთ პარტიების, ჩვენ კრებაზე უფრო მეტი უპარტიო ხალხი აირჩიეს.

**ბლოხინი**—(თოფის წამლის ქარხანა) რევოლიუციის დასაწყისში შრომის ნაყოფიერებამ ჩვენს ქარხანაში იმატა, ხოლო როცა თვით აიღეს ხელში წარმოება შრომის ინტენსივობამ საგრძნობლათ იკლო. ამის გამო თითქმის ქარხნები სულ დაიხურა. შესდგა მუშათა კავშირი ძველ შეგნებულ მუშებისაგან, ქარხნის კომიტეტსა და ამ კავშირს შორის ბრძოლა გაჩაღდა. ევაკუაციის შესახებ ჯერ კიდევ ივნისში აღიძრა. ამისათვის შესდგა კომისია, მაგრამ შემდეგ განკარგულება მოვიდა ისევ დავრჩენილიყავით, ამისთვის უნდა გადაგვეზიდა ისევ ქარხანაში მილიონი ფუთი თოფის წამალი. შეუდეგით მუშაობას. თითქმის მთელი სამუშაო გამოუცდელ მუშებს დააწვა კისერზე, შავი მუშები არას აკეთებდენ. ქარხნის კომიტეტმა ვერაფერი გააკეთა და მთელი საქმის მოწყობა მუშათა კავშირმა იკისრა.

სანამ ქარხნის კომიტეტები ადმინისტრატიულ ფუნქციებს ასრულებენ ქარხანაში არავითარი შემოქმედებითი მუშაობა არ იქნება უნდა აგიტაცია გავსწიოთ, რომ იგინი მხოლოდ კანტროლს ეწეოდენ.

**შჩეგლოვი**—(ელექტრ. განათების საზოგ.) კომისარებმა დეკრეტი გამოსცეს ჩვენი ქარხნის სეკვესტრის შესახებ, მაგრამ არ გვიჩვენეს ვის უნდა გადაეცეს ის. მუშებმა დაიწყეს პატრონის ძებნა, ბოლოს გამოირკვა, რომ ის ქალაქს უნდა ეკუთვნოდეს, მაგრამ ქალაქს არ შეეძლო ამ საქმეს გაძღოლოდა, რადგან საშუალება არ ქონდა. ბოლოს გამოჩნდა პატრონი: სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, მაგრამ მისა და მუშებს შორის ისეთი მდგომარეობა შეიქნა, რომ შესაძლებელია მუშებმა სადგური გააფუჭონ და მცხოვრებნი უპუროთ და უწყლოთ დარჩებიან.

**იზმაილოვი** (ბალტიის ქარხანა). რამდენათაც მეტათ მოქმედებდენ ბალშევიკები იმდენათ ძირს უთხრიდენ თავიანთ ავტორიტეტს. ამ რამდენიმე დღის წინათ ჩვენს ქარხანაში მოვახდინეთ ანკეტა ვინ არის სახალხო კომისარების საბჭოს მომხრე და ვინ არი საზოგადო რევოლიუციონურ ფრონტის სახალხო კომისარების საბჭოს ე. ი. ბალშევიკების მომხრე გამოდგა 113 კაცი, ხოლო დემოკრატიის გაერთიანების 1899 კაცი.

**ბარანოვი.** (ნიკოლ. რკ. სახელოსნო) ეხლა ჩვენ მუშებში დიდი ცვლილება მოხდა. იგინი უსიტყვოთ ბალშევიკებს არ მისდევენ კუდში, წინააღმდეგ მათ ბოიკოტს უცხადებენ და სოციალისტურ რესპუბლიკაზე ხმას აღარ იღებენ. 12 მარტს რევოლიუციის წლის თავი კი არ უდღესასწაულებიათ, არამედ მისი გარდაცვალების დღე უწოდეს ამ დღეს.

**როზენშტეინი** (პუტილოვის ქარხანა). მთელ ქარხანაში დიდი არევ-დარევაა. შლიაპნიკოვის განკარგულებით ქარხანას ისეთი ხალხი მოექცა სათავეში, რომელსაც ყველა ზიზღით უყურებს. დაიწყო მუშების მასიური დათხოვნა 36 ათას მუშიდან ეხლა მხოლოდ 13 ათასი მუშაობს.

**სმირნოვი.** ჩვენ მოვისმინეთ ცნობები ადგილებიდან, საიდანაც სჩანს, რომ იმ რაიონებში, სადაც ბალშევიკების გავლენა ძლიერი იყო, მუშები მარცხნიდან მარჯვნით იხრებიან. ჩვენ უნდა ვეცადოთ ვუჩვენოთ მუშებს ისეთი გზა, რომელიც მათ ინტერესებს შეეფერება. ხვალ იწყება საბჭოების ყრილობა. მაზე წარმომადგენლობის დიდი ნაწილი ყალბია, ჯარისკაცები თვით ირჩევენ თავიანთ თავს, ხოლო მუშათა დეპუტატები ვერ არიან მუშათა მასის სულისკვეთების გამომხატველნი. ყრილობას კი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი აქვს გადასაწყვეტი. საჭიროა იქ გაისმას პროლეტარიატის ნამდვილი ხმა.

ჩვენ უნდა ავირჩიოთ დელეგაცია, რომელიც წავა ყრილობაზე და ჩვენს აზრს გამოსთქვამს.

კამათის შემდეგ კონფერენციამ გადასწყვიტა გაგზავნოს დელეგაცია საბჭოთა ყრილობაზე და დელეგატებიც აირჩიეს.

(დასასრული იქნება).

# ზეცაში წადი

თავისუფლებავ, ზეცაში წადი,
ყველას სჯობია ღმერთებთან ძილი,
ხომ გაიარე შენი საცადი,
ამ ქვეყნის შავი სივრცე-მანძილი
და ხომ დარწმუნდი ღმერთავ, რომ ჯერა
დედამიწაზე არ გაქვს ადგილი;
ერთხელ შობილი, მოგკლეს ასჯერა,
ფეხქვეშ გაგსრისეს ვით ჭია-მღილი,
კიდევ არ ფიქრობ, კიდევ არ გჯერა,
რომ აქ დაღუპვა არის ადვილი!?.

—

ნუ გხიბლავს მზე თუ გეკისკასება,
ბრწყინავს, უცინის დღემუდამ პირი,
ქვეყანა მას ვერ დაემსგავსება,
ვიდრე არ დაჰკრავს ბედის საყვირი.
მიწას თავიდან აჰკიდებია,
მოუსვენარი, ერთი რამ ჭირი;
ათი ათასი ჰკურნავს ბებია
და შვებას მაინც არ უჩანს პირი.
მზეს თუმცა მუდამ უნათებია,
მით არ დაშლილა ბნელის კავშირი...

—

მიწის წყლულია ადამიანი
იგივე არის თვით სულთქმა მისი,
სავსეა იგი, უყვარს ზიანი,
არ იცის ნდობა, არ იცის თვისი.—
თავის თავისა აშინებს ლანდი,
ვიდრე არსებობს ჯერ მცნება სხვისი,
ვიდრე სიცოცხლე აქვს გასაფლანგი,
შურით მეძავობს ღამით და დღისით.—
ვერ შეუცვლია არსებას ჰანგი
სისხლითა ლოთობს მისი სინდისი...

—

მიწა არ ჰყოფნის მარტო საჭმელათ,
ცამაც რომ მისცეს ყველა ვარსკვლავი,—
ზედ სისხლი უნდა გადასანთხმელათ,
თუნდა ძმა მიეც ზედ დასაკლავი...
და მედიდურობს მიწის რაინდი,
ცისა და ქვეყნის მარჯვენა მკლავი,
აი, სიცოცხლის მწუხრი და ბინდი,
შესაზარელი, გულმოსაკლავი,
აი, შავბნელი მომავლის წინდი,
და არსებობის ძეგლი—საფლავი!

—

თუმც მზის სინათლე ჯერ არ გამქრალა,
მაგრამ მძვინვარებს უწამლო ჭირი,
ქვეყნის სინდისი სისხლში დამთვრალა,
დადუმებულა ბედის საყვირი...
თავისუფლებავ, შენ გეძახიან,—
მათს გუნებაზე დაუკრა სტვირი,
და თავნი თვისნი ვერ უნახიან,
შენ როცა მათზე მწარედა სტირი—
მოღალატეა ჭეშმარიტება,
სახიფათოა მათთან კავშირი!

—

ღმერთავ, დაბრუნდი, ზეცაში წადი,
გადმოიხედე შორიდან შორად,
ამ ქვეყნიური გამოსაცადი,
ნისლმა დაბუროს გადიქცეს ჭორად.—
და კუზიანი ეს დედამიწა,
ამოზნექილი ცოდვის მთა გორად,
სჭამოს სიბნელემ და ნათელიცა
მას ნუ დახედავს მაღლიდან სწორად.
თავისუფლებავ, ზეცაში წადი,
გადმოიხედე შორიდან შორად!

ვ. ტუხიშვილი.

8 აპრილი, თფილისი.

---

არა, რომ ვითომ რუსეთში ქართველებს ხოცავდენ, როგორც ეს ზოგიერთმა გაზეთებმა დასწერეს, არამედ—მიზეზი ამ საზიზღარ მკვლელობისა არის ის ანარქია, რომელიც გაჰეფებულია მთელ რუსეთში და რომლის არსებობას და უფრო გაღრმავებას დიდათ უწყობს ხელს ბალშევიკებისაგან ასე ნაქები „სამოქალაქო ომი".

ქ. გოგუა.

# ქალაქის საბჭოში

(5 აპრილის სხდომა).

5 აპრილს იაკუჯიანის თავმჯდომარეობით მოხდა ქალაქის საბჭოს საგანგებო სხდომა.

საგანგებოთ არჩეულ კომისიის სახელით გრუზენბერგი ასახელებს იმ ზომებს, რომელთა საშუალებით შეიძლება სასურსათო საქმის მოწესრიგება თფილისში. დ. პოპოვის წინადადებით კომისიის მიერ შემუშავებულ ზომებს განიხილავენ შემდეგ სხდომაზე.

სასურსათო განყოფილების რეორგანიზაციის შესახებ საბჭომ დაადგინა: გაუქმებულ იქნას სასურსათო საკრებულო, ვინაიდან ამ ჟამათ სასურსათო საქმეს განაგებს ქალაქის გამგეობის სამი წევრი. რაც შეეხება სასურსათო თათბირს, ის რჩება და როცა საჭირო იქნება, მოიწვევენ კიდეც სხვადასხვა კითხვების გადასაჭრელათ.

გამგეობის წევრი კალიუჟნი იძლევა ცნობებს ლტოლვილთა შესახებ. ამ ჟამათ თფილისში თავს იყრიან აუარებელი ლტოლვილები. საჭიროა მივიღოთ ზომები, რომ ისინი არ დარჩენ თფილისში. ამ მხრით არსებობს მხოლოდ ერთად-ერთი საქართველოს სამხედრო გზა, რომლითაც შეიძლება გავგზავნოთ ლტოლვილები რუსეთში. აქ კი ყოველივე საშუალებით ვცდილობთ მოვათავსოთ ლტოლვილები ცალკე შენობებში. ამ მიზნით ჩვენ რეკვიზიცია მოვახდინეთ არტისტიულ საზოგადოების საზაფხულო შენობის. მოვაწყვეთ სანიტარული რაზმი და სხ.

როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, ს.-რევოლიუციონერების ადგილობრივი ორგანიზაცია გაიყო ორათ. ერთ ნაწილს მეთაურობს ნ. ბერიოზოვი, მეორეს—ივ. ლორთქიფანიძე. ქალაქის საბჭოს ს.-რევოლიუციონერთა ფრაქციის სახელით ხუდადოვი აცხადებს, რომ ფრაქცია უჭერს მხარს ძველ საოლქო კომიტეტს, რომელსაც ხელმძღვანელობენ ნ. ბერიოზოვი, გ. ნათაძე, თუმანოვი და სხ.

საბჭომ დაამტკიცა გამგეობის დადგენილება, რომლის თანახმათ ქალაქის თვითმართველობა ხსნის ჯერჯერობით ხუთ სასადილოს, განსაკუთრებით განაპირა უბნებში. ამ საქმისთვის გადაიდო 63 ათასი მან.

გაარჩიეს აგრეთვე რამდენიმე წვრილმანი საკითხი.

# რუსეთის ამბები.

**ნიკოლაევის რკინის გზის** მოსამსახურეთა ყრილობაზე პეტროგრადის ფაბრიკა-ქარხნების კონფერენციის წარმომადგენელმა ბერგმა განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობის მიერ ფაბრიკა-ქარხნებში სოციალიზმის განხორციელებას ამ ჟამათ დაღუპვისაკენ მიჰყავს მუშათა კლასი და რუსეთის პროლეტარიატის დასახსნელათ საჭიროა კაპიტალისტური წარმოების შექმნა და სხ. ამ სიტყვის დროს ბალშევიკებმა და ესერებმა საშინელი ხმაურობა ასტეხეს და დარბაზიც დასტოვეს. როცა გზის მუშაობის ნაყოფიერებას შეეხენ, გამოირკვა, რომ მუშათა ძალა რევოლიუციის დაწყების დღიდან გადიდებულა 12 პროც., ხოლო მუშაობის ნაყოფიერება დაცემულა 40 პროცენტით.

**მუშების გადასახლება ციმბირში.** პეტროგრადის სამრეწველო დაწესებულებათა ევაკუაციისა (გადატანის) და უმუშევრობის გამო აუარებელ ფაბრიკა-ქარხნის მუშებმა განიზრახეს ციმბირში გადასახლება. ისინი მიმართავენ დახმარებისათვის სხვადასხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებს. მათი განზრახვაა სამუშაო იშოვონ ან ციმბირში სამუდამოთ დასახლდენ და შეუდგენ მიწათმოქმედებას.

**რუსის გლეხობა და გერმანელები.** პოლოცკის გლეხთა ყრილობამ მოითხოვა დემოკრატიული ერობის შემოღება, რომელიც დროებით მთავრობის დროს არსებობდა. გერმანელებს აქ დაუწესებიათ რევოლიუციამდე არსებულ ძველი რეჟიმის მმართველობა. პოლოცკიდან ჩამოსულების გადმოცემით, გერმანელები დასდგომიან დათმობის გზას და აღუთქვამთ პოლოცკის გლეხთა ყრილობის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

**გერმანელების შემოტევა და გლეხები.** გერმანელების შემოტევის შესახებ ცნობები ძლიერ შემაწუხებელია გლეხებისთვის. გლეხებს აშინებს ის გარემოება, რომ გერმანელები ჩამოართმევენ მათ მემამულეების მიწებს. რამდენიმე დღის უკან გლეხებმა (ვოლსკში, სამარის გუბერნია) დაარბიეს ჩამოსახლებულ გერმანელის მამული. შემდეგ სოფელში მოვიდა ცნობა „გერმანელები მოდიანო", გლეხები დაფრთხენ და საჩქაროთ შეუდგენ ნაძარცვი საქონლის უკან დაბრუნებას.

# „ალიონის" რედაქციას

დღევანდელ ისტორიულ მომენტში, როცა ერის ყოფნა არ ყოფნის საკითხი სწყდება, როცა ჩვენი საუკეთესო რევოლიუციონერი და დემოკრატი ბათუმთან შემოსეულ მტერს უმკლავდება, „ალიონი" მის მაგივრათ, რომ მასაში აღფრთოვანების გამოწვევას სცდილობდეს, და განსაცდელში მყოფ სამშობლოს და რევოლიუციის თავდაცვის და ხსნის აზრს ქადაგობდეს, ის ჯარში და ზურგში დამარცხების პანიკას ხელს უწყობს და ჰქმნის სულისკვეთებას „საკუთარი ფიზიკური არსებობის" შენარჩუნებისა, მაშინ როცა სამშობლო უდიდეს მსხვერპლს მოითხოვს. ავითარებს ილლიუზიას, თითქო მხოლოდ საზავო მოლაპარაკებას, და არა რეალურ ძალას, შეეძლოს იხსნას დღეს ჩვენი ქვეყანა განსაცდელისგან.

ორიენტაციის ძებნაში ეთიშება ჩვენ ს. დ. მუშათა პარტიას და გვერდში უდგება ჩვენ ნაციონალ-დემოკრატებს და მუსულმანების „მუსავატს".

გაზეთმა სამუდამოთ დასტოვა ალიონის ძველი გზა და მისი პირველი დამაარსებელის ლადო დარჩიაშვილის ტრადიციები, ეროვნული საკითხის დარბაისლური, აკადემიური კვლევა-ძიება, მოკლებული ყოველივე შეუფერებელ პოლემიკურ ტონს და ისე ღრმათ შესტოპა ნაციონალისტურ მორევში და გადაგვარდა, რომ დღეს „ალიონი" მხოლოდ სახელით-ღა გაირჩევა სხვა ჯურის ნაციონალისტურ ფურცლებიდან. ამის შემდეგ ალიონისტის სახელის ტარება ამ სიტყვის დღევანდელი მნიშვნელობით შეუძლებლათ მიმაჩნია ჩემთვის და გამოვდივარ, როგორც გაზეთის თანამშრომელთა რიცხვიდან, ისე „ალიონის" ჯგუფიდანაც.

ივ. ხელაძე.

# თფ. მუშ. და ჯ.-კ. დეპ. საბჭოში

(7-აპრილის სხდომა)

თავმჯდომარეობს **ნოე ჟორდანია.**

ამხ. რ. აუშტროვი აკეთებს მოხსენებას 10 თებერვალს ალექსანდრეს ბაღში მომხდარ ამბების შესახებ საგანგებო კომისიის სახელით. კომისიაში შედიოდენ ყველა ფრაქციების წარმომადგენელნი და აგრეთვე უპარტიო: 3 საგამომძ. კომისიიდან, 5 აღმასრულებელ კომიტეტის წარმომადგენელი და ერთი ქალაქის თვითმართველობიდან. მომხსენებელი ვრცლათ ეხება საგამომძიებლო კომისიის მუშაობას; კომისიას ბევრი ფაქტიური მასალის განხილვა დასჭირდა, ამიტომ გამოძიების საქმე ძალზე გაჭიანურდა. გამოძიებიდან ბევრი საყურადღებო მომენტი ირკვევა, რასაც უწინ ბალშევიკები გადაჭრით უარყოფდენ. 10 თებერვალს დილით მიტინგის წინ თფილისის ფაბრიკებში გამოცხადდენ ბალშევიკები, მუშებს არ აძლევდენ საშუალებას მუშაობა დაეწყოთ და მოუწოდებდენ მათ მიტინგზე—ალექსანდრეს ბაღში, რათა პროტესტი განეცხადებიათ ბალშევიკურ ორგანოების დახურვის და ზოგიერთ ბალშევიკების დატყვევების წინაამდეგ. შემდეგ ირკვევა, რომ მიტინგზე ყოფილან აგრეთვე შეიარაღებული პირები; მიტინგზე სეიმს ახასიათებდენ როგორც კონტრ-რევოლიუციონურ და ბურჟუაზიულ ორგანოს და მოუწოდებდენ დამსწრეებს ამიერ-კავკასიის კომისარიატის ჩამოგდებისაკენ. მიტინგის უახლოეს მიზანს შეადგენდა მეტეხიდან დატყვევებულ ბალშევიკების განთავისუფლება; შემდეგ მესამასე ვერსზე მდგომ ეშელონების დახმარებით განზრახული იყო „კონტრ-რევოლიუციონურ" კომისარიატის ჩამოგდება. როდესაც შტაბიდან გაგზავნილ რაზმის უფროსმა მიტინგის თავმჯდომარეს ს. ქავთარაძეს წინადადება მისცა, რათა მიტინგი დაშლილიყო, უკანასკნელმა (ქავთ.) ეს წინადადება არ აცნობა მიტინგს. მიტინგს დასწრებია სხვათა შორის ცნობილი კუზნეცოვი, რომლის დაჭერაც გადაწყვეტილი იყო და რომელიც სისრულეში უნდა მოეყვანა რაზმს. თოფი პირველათ ბრბომ გაისროლა; რაზმმა მხოლოდ ამის შემდეგ მიმართა იარაღს და ისიც პირველათ ჰაერში. მეორე მხრივ მოხსენებიდან ირკვევა, რომ რაზმის მიერ არ იყო ყოველგვარი ზომები მიღებული, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული სისხლის ღვრა... მცირე კამათის შემდეგ, სადაც ორატორების უმრავლესობა ნდობით ეკიდებოდა როგორც კომისიის შემადგენლობას, ისე მის მუშაობას,—საბჭო იღებს შემდეგ რეზოლიუციას: „რადგანაც საგამომძიებლო კომისიამ სისწორით დაამტკიცა: 1) რომ მიტინგის ხელმძღვანელებისაგან, მიუხედავათ გაფრ. ხილებისა, მიტინგი არ იქნა დაშლილი; 2) რომ რაზმის მხრივ გასროლა არ იყო უფროსის ბრძანების შედეგი, არამედ ბრბოს მხრივ გასროლაზე თვითნება პასუხი, მუშ. და ჯ.-კ. დეპ. საბჭო ადგენს, რომ ალექსანდრეს ბაღში მომხდარ ამბებისათვის სრული პასუხისგება ეკისრება მიტინგის ინიციატორთ და ხელმძღვანელებს". დ. მერხალევის წინადადება (ს.-რევოლიუციონერების სახელით), რათა არ იქნეს გამოტანილი არავითარი რეზოლიუცია და საბოლოო მსჯავრის დასადებათ საგამომძიებლო კომისიის მიერ შეკრებილი მასალები გადაეცეს აღმასრულებელ კომიტეტს,—უარყოფილ იქნა.

მდგომარე მომენტის შესახებ მოხსენებას აკეთებს **ირ. წერეთელი.** იმპერიალიზმის მძლავრი ხელი აღიმართა ამიერ-კავკასიის დემოკრატიის თავზე. შესძლებს იგი დაამარცხოს უკანასკნელი ისე, როგორც ეს რუსეთში მოხდა, თუ მოვახერხებთ მის უკუქცევას,—აი მომენტის ძირითადი საკითხი. როგორი მოთხოვნილებები წამოგვიყენეს იმ მხრიდან, როგორ მოქმედებს, რა ზომებს იღებს ამიერ-კავკასიის დემოკრატია, როგორი პერსპექტივები იშლება ჩვენს წინ? ოსმალეთის იმპერიალიზმი ასეთ ულტიმატუმს აყენებს ჩვენს წინაშე: ვიცნოთ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება სავალდებულოთ და ამასთანავე გამოვაცხადოთ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა. რაში მდგომარეობს ბრესტის ხელშეკრულება? ბრესტი იმით კი არ არის საშიშარი, რომ მისი ძალით ოსმალეთს გადაეცემა განსაზღვრული ოლქები. ბრესტი იმით არის საშიში, რომ იგი ხელფეხს უხსნის აღვირ წახსნილობას, იგი განადგურებით ემუქრება რევოლიუციას, სასიკვდილო ლახვარს სცემს დემოკრატიის სულს. იქ, რუსეთში მიიღეს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება; ბალშევიკებმა მოაწერეს მას ხელი, მაგრამ ყველასათვის აშკარაა, რომ ბალშევიკთა მთავრობამ ვერ მისცა ზავი წამებულ რუსეთის ხალხს. ხელშეკრულების აზრი და ძალა იმაშია, რომ იგი აღიარებს ჩვენთვის განსაზღვრულ ვალდებულებას, ხოლო მტერს მოქმედების სრულ თავისუფლებას ანიჭებს, ხელ ფეხს უხსნის მას. ხელშეკრულების დამტკიცების შემდეგ მეორე დღესვე იქ, რუსეთში, დაიწყო ხელახალი შემოტევა. და ჩვენთვის აშკარაა, რომ როდესაც ჩვენც ასეთივე წინადადებას გვიყენებენ,—აქ არ არის ლაპარაკი მარტო ბრესტ-ლიტოვსკზე; ამით მტერს უნდა გამოსავალი იშოვოს, წამოვიდეს შუა გულისაკენ და განახორციელოს თავისი იმპერიალისტური მიზნები. ამას ნათელს ფენს ის ფაქტიც, რომ ერთ წინადადებასთან ერთად ჩვენ გვიყენებენ მეორესაც: გამოვაცხადოთ დამოუკიდებლობა. როდესაც ტრაპიზონში ოსმალეთს შეეკითხენ, თუ რათ ესაჭიროება მას ბათუმი და ყარსი,—მან უპასუხა: ამით უნდა შევქმნათ საკმაო სიმაგრეები რუსეთიდან თავის დასაცავათო. როდესაც ოსმალეთი ეხლა ითხოვს ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებას,—იგი ასაბუთებს ამას სახელმწიფო-ბუფერის შექმნით. მაგრამ დასახელებულ ოლქების უქონლობით დამოუკიდებელ ამიერ-კავკასიის არსებობა, მით უმეტეს, მისი სახელმწიფო ბუფერათ გადაქცევა, ყოვლათ წარმოუდგენელია. ცხადია, ასეთი გამუქებით წინადადება მეტის-მეტი უაზრობაა. ცხადია ჩვენთვის, რომ, როდესაც ასეთი წინადადების წინაშე ვდგევართ, ჩვენს წინ სდგას არა მარტივი საკითხი—ომი თუ ზავი, არამედ საკითხი: ომი და არსებობის დაცვა თუ ზავი და თავის თავის განადგურებაზე ხელის მოწერა.

ამის გათვალისწინების შემდეგ თუ ჩვენ შევხედავთ ჩვენ ძალებს და გავითვალისწინებთ უკანასკნელ ამბებს, უნდა ვსთქვათ, რომ ძალები შეიქნება: რომ მასსამ ნათლათ გაითვალისწინოს შექმნილი მდგომარეობა, საჭიროა მძიმე და მწარე გამოცდანი; და ჩვენ ვხედავთ, რომ სარიყამიშის და ბათუმის დაცემის შემდეგ, მასსის ენტუზიაზმი იზრდება, მასსა მეტ საჭიროებას გრძნობს თავის დაცვისადმი. დემოკრატიისათვის ამ საკითხის გადაჭრა შეუძლებელია ჯარის მოუწყობლათ. და ჩვენ გვწამს, რომ თუ ანარქია თანდათან არ გაძლიერდება—მას ბევრ ალაგს დაღუპავს რევოლიუცია და დემოკრატია—ამიერ-კავკასია შესძლებს დაიცვას თავისი თავი. მაგრამ რომ ასედაც არ იქნეს, რომ ამიერ-კავკასია დარწმუნებულიც იყოს იმაში, რომ იგი ბრძოლას წააგებს,—მას მაინც არ შეუძლია ოსმალეთს დაუთმოს და იარაღი არ აისხას: როდესაც გვიყენებენ ისეთ ულტიმატუმს, რომელიც, თუ მივიღებთ, განადგურებას უქადის მთელ დემოკრატიას,—ასეთ შემთხვევაში დემოკრატიისათვის არჩევანი არ არსებობს. ასე უყურებენ საკითხს დემოკრატიის მოწინავე ნაწილებიც. ჩვენ გვინდოდა თავიდან აგვეცილებია საშინელი სისხლის ღვრა: დემოკრატია მიდიოდა დათმობათა მაქსიმუმზე და ითხოვდა გარანტიას, რომ არ იქნებოდა შელახული მისი ფიზიკური არსებობა. მაგრამ როდესაც ისინი არ თანხმდებიან ამაზე, როდესაც მოითხოვენ მის წინაშე სრულ კაპიტულიაციას,—დემოკრატიამ უნდა მოიკრიბოს თავისი ძალები. ჩვენ ვიცით, რომ გამარჯვებულ მტრის გულის შექცევა, მისი თანაგრძნობის მოპოება მავნე უტოპიაა: ამას მოწმობს ზავის ისტორია რუსეთში და სხვაგან.

არის პარტიები, რომლებიც სხვანაირათ უყურებენ საკითხს. ხშირად ისმის ხმები: მივიღოთ საზავო პირობები და ყველა ეს უგარანტიოთ, რომ ჩვენი არსებობა დაცული იქნება. უკანასკნელ მომენტამდე ყველა პარტიები ჩვენ შეხედულებას იზიარებდენ: ისინი ხმამაღლა აცხადებდენ დაცვის საჭიროებას. მაგრამ მძიმე მომენტის ზეგავლენით შეირყა თვით ჩვენი პარტიის ერსულოვნობა და მისი გავლენა. და დღეს „მუსავატი" აცხადებს, რომ შეუძლებელია ომის გაგრძელებაო და ომის წარმოებისთვის ყოველგვარ პასუხისმგებლობას იხსნის. აქ დაირღვა ერთობა. გარეშე მტრის იერიშებისა და მოღალატურ შინაურ ანარქიის ზეგავლენით არა მარტო გარეშე მტერმა ამოისუნთქა მსუბუქად, იგრძნო ძალა,—არამედ ზოგ პარტიებმაც გადასდგეს ისეთი ნაბიჯები, როგორსაც ისინი დღემდე ვერ ბედავდენ გადაედგათ. თუ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ერთობით შეიძლება მტრის დამარცხება,—ეხლა შეიძლება ძალთა განწყობილება საგრძნობათ შეიცვალოს; თუ მუსულმანთა მასსის დიდი უმრავლესობა ჩამოგვცილდება, — ეს შეიძლება ბათუმისა და სარიყამიშის დაცემაზე უარესიც იქნეს; თუ ამასთანავე ნაციონალური შუღლიც გაღვივდება, თუ ყველა ამაებს ექნება ადგილი,—მაშინ, შეიძლება, ჩვენი დემოკრატია დამარცხდეს... მაგრამ არ გაცამტვერებულა ჯერ კიდევ იმედი. ჯერ კიდევ სცოცხლობს და ძალა მოსილია დემოკრატიული ორგანიზაციები; ცენტრების გარშემო თავს იყრის შეგნებული, მოწინავე დემოკრატია. გაითვალისწინებს რა თავისი ძალებს, დემოკრატია ჩაებმება სხვადასხვა დამოკიდებულებაში, მოსძებნის მოკავშირეს, რომ უზრუნველჰყოს თავისი თავი. ჩვენ არ შეგვიძლია დავივიწყოთ, რომ თუ ძირს დავუშვებთ იარაღს, მტერი გაგვსრისავს! შემოიკრებს რა ყველა თავის ძალებს, აწარმოებს რა შესაფერ პოლიტიკას,—დემოკრატია აგრეთვე არ დაივიწყებს, რათა ანგარიში გაუწიოს დროს, ყოველი წუთის მოთხოვნილებას და გამონახოს გზა სისხლის ღვრის შესაწყვეტათ. დემოკრატიას სხვა გზა არა აქვს! კიდეც რომ დამარცხებულ იქნეს იგი ბრძოლის ველზე კიდეც რომ გასტეხოს იგი იმპერიალიზმის იერიშებმა,—მას არ შეუძლია რუსეთში ნაცად გზით წავიდეს, მას არ შეუძლია ხელი მოაწეროს თავის ფიზიკურ-მორალურ სიკვდილის აქტზე! ობიექტიური მდგომარეობა ასეთია: ჯერ არ მომკვდარა ხსნის იმედი, სანამ შინაური მტრების ძალა არ გაძლიერებულა.

უკვე ბლომათ არიან პონტოელი პილატები, რომლებიც თავიანთი ბინძური ხელების ბანით ფარისევლურათ დასცინიან დემოკრატიისა და რევოლიუციის ბედს და მას მტრის ნება-სურვილის სასწორზე აგდებენ; უკვე ბლომათ არიან იუდა ისკარიოტლები, რომლებიც ცდილობენ ოქროზე გაყიდონ ამიერ-კავკასიის დემოკრატია; უკვე გაისმის მოღალატენის საზარელი ხმები: „ჯვარს აცვით იგი!", „ჯვარს აცვით იგი"! და უკვე ცდილობენ აღმართონ ჯვარი, სადაც ფიქრობენ თავისუფალი ამიერ-კავკასიის დემოკრატია გააკრან!. ასეთია ჩვენი დემოკრატიის სახე.

და შეიძლება ასეთ პირობებში დემოკრატია ძლეულ იქნეს, მაგრამ მას შერჩება ის რევოლიუციონური ბრწყინვალე შარავანდედი, რომელიც ბალშევიკებმა იქ, რუსეთში ჩამოაშორეს დემოკრატიას. იგი აღსდგება და დაამარცხებს რევოლიუციის და თავისუფლების ყველა მტრებს!..

მოხსენების შემდეგ მომხსენებელს აძლევენ შეკითხვებს.

კითხვა: დამოუკიდებლათ აწარმოებს ამიერ-კავკასია თავდაცვის საქმეს, თუ არა?

წერეთელი. ფაქტიურათ ამიერ-კავკასიას დამოუკიდებლათ უხდება გამოსვლა, ვინაიდან ჯერ არ არის არავითარი გარეშე დახმარება. სწორეთ იმიტომ, რომ წინდაწინვე გათვალისწინებულ იქნა საერთო მდგომარეობა, ჩვენ დღემდე არ შეგვიქმნია ის იურიდიული ჩარჩოები, რომელიც ფაქტიურ მხარეს შეეფერებოდა: ჩვენ არ დაგვიკანონებია ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის აქტი. საკითხი რომ ასე იდგეს: რუსეთის ნაწილი, თუ ოსმალეთის ქვეშევრდომობა,—მაშინ ჩვენთვის არჩევანი ადვილი იქნებოდა. მაგრამ, როდესაც ვიცით, რომ ოსმალეთის იმპერიალიზმს ჩვენი დამოუკიდებლობა იმიტომ უნდა, რომ თავისი მიზნები განახორციელოს, ჩვენ ყოველგვარ ზომებს მივმართავთ თავის დასაცავათ; ჩვენ ყოველგვარ დახმარებას მივიღებთ...

კითხვა. რა პოზიციას ადგია „დაშნაკცუტიუნი" ომის საკითხში?

წერეთელი. მე არ შემიძლია პასუხი გავცე ამ კითხვაზე: ეხლა ხდება სომხების ნაციონალური ყრილობა, სადაც „დაშნაკცუტიუნი"-ც ესწრება და უკანასკნელის პოზიცია შემდეგ გამოირკვევა.

იხსნება კამათი. კაგეტადჟიანი მოითხოვს, რათა გაწყვეტილ იქნეს ყოველგვარი კავშირი მუსავატელებთან.

ა. პაპავა (ს.-ფ.). დღევანდელი მდგომარეობა ნაყოფია მთელ რიგ შეცდომების, რომელიც ამიერ-კავკასიის მთავრობამ დაუშვა. ამ მთავრობამ ხელიდან გაუშვა ის მომენტი, როდესაც ოსმალეთი და შემდეგ გერმანია წინადადებას იძლეოდენ გაგვეგზავნა წარმომადგენელი ბრესტ-ლიტოვსკში. მაშინ უფრო შეიძლებოდა საქმის მოგვარება... აქ ამბობენ, რომ მუსავატელები ნეიტრალიტეტს იცავენ. მაგრამ დასაშვებია, რომ რომელიმე სახელმწიფოს ნაწილი ამ სახელმწიფოს განკარგულებებს არ ემორჩილებოდეს?! ჩვენ ორ ფრონტზე მიგვიხდება ბრძოლა. გვაქვს თუ არა ჩვენ საკმაო ძალა მტრებს გავუმკლავდეთ? ძნელია ამის თქმა. და რომ ჩვენ დავმარცხდეთ, ვის შეუძლია ამისთვის პასუხისმგებლობა იკისროს? ჩვენ არ უნდა გამოვაცხადოთ ომი; უნდა გამოვნახოთ ყოველგვარი გზები საქმის უომრათ მოსაგვარებლათ. ორატორი მოითხოვს გერმანიისადმი, ოსმალეთისადმი მიმართვას, რათა საქმეს უკეთესი მიმართულება მიეცეს.

სპექტორი (ს.-რ.). ჩვენთვის აშკარაა, რომ ქვეყნის დაცვა იმავე დროს რევოლიუციის დაცვასაც გულისხმობს. „მუსავატის" მთავრობიდან გასვლა ჩვენ ბევრ რამეს გვეუბნება. დაუყონებლივ უნდა შეიქნეს მძლავრი, ერთფეროვანი მთავრობა; ამისთვის მოწვეულ უნდა იქნეს მუშათა, და ჯ.-კ. და გლეხთა დეპუტატების ყრილობა. ასეთი მთავრობაა თერგის ოლქში. და თუ ჩვენც ასეთ მთავრობას შევქმნით, მაშინ თერგი ყოველგვარ საშუალებით ხელს შეგვიწყობს სამშობლოს დაცვაში — მოგვაწოდებს პურს და სხ. მაშინ ჩვენ გავიმარჯვებთ!

ირ. წერეთელი პასუხს აძლევს წერილობით შეკითხვებზე და აგრეთვე ზოგიერთ ორატორებს.

მე მეკითხებიან—ამბობს იგი, რას ამბობს ჩრდილო კავკასია. ჩვენ იქედან არავითარი პირდაპირი პასუხი არ მიგვიღია, მაგრამ იმ ფაქტის შემდეგ, რომელსაც ადგილი ჰქონდა იქ (დახვრეტა), ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ როგორ უყურებს ჩრდილო კავკასია ჩვენს რევოლიუციონურ ბრძოლას. არავითარი პასუხი არ მიგვიღია ... დან. მოლაპარაკება ... ცენტროფლოტთან; ჩვენ მთელი ხელ-შეკრულება დავდევით მასთან... მაგრამ მისგან დახმარება არ მიგვიღია. პირიქით, ჩვენ გვაქვს დაკავებული დეპეშა, რომელსაც იგი ცენტრალურ მთავრობას უგზავნის და რომელშიაც ნათქვამია, რომ იგი არ ... იმ ნავთსადგურებიდან, სადაც სდგას, თუ მისი ხელშეუხლებლობა უზრუნველყოფილი იქნება. ჩვენ გვეკითხებიან: რა პოზიციაზე სდგას ბაქოს საბჭო?—პირდაპირი პასუხი არც იქედან გვაქვს, მაგრამ აშკარაა, რომ იგი მოითხოვს საბჭოთა მთავრობის ცნობას. რუსეთის საზავო დელეგაციის თავმჯდომარის იოფფეს პასუხი კი ასეთია: ამიერ-კავკასიამ უნდა იცნოს ბრესტის ხელშეკრულება. ამასთანავე იგი აღნიშნავს, რომ ოსმალები არ გაჩერდებიან ყარს-ბათუმის აღების შემდეგაც; და როდესაც ეს მოხდება, იოფფე წინადადებას გვაძლევს, რათა პროტესტი გავუგზავნოთ ამის შესახებ გერმანიას! (სიცილი). და თუ ასე არ მოვიქცევით,—ჩვენ მოღალატის სახელს დავიმსახურებთ!..

მე მინდა პასუხი გავცე ს.-რევოლიუციონერ ორატორს—განაგრძობს წერეთელი. იქ, რუსეთში, რევოლიუციის პირველ დღეებიდანვე ჩვენ ერთად ვმოქმედებდით ს.-რევოლიუციონერებთან, ჩვენ ერთათ ვცდილობდით რევოლიუციის ხსნას, ვაფრთხილებდით ბალშევიკებს შეცდომებიდან. უკანასკნელებმა ჩვენ არ გაგვიგონეს და რევოლიუცია დაამარცხეს. და დღეს აქ, იმავე პარტიის წევრი ს.-რევოლიუციონერი გვირჩევს გავიმეოროთ იგივე შეცდომა, რომელმაც იქ, რუსეთში, საფლავი გაუთხარა და დაასამარა რევოლიუცია. თქვენ (ს.-რ.) ხომ ჯერაც არ გაგიცვეთიათ ის წაღები, რომელშიაც რუსეთის რევოლიუციის ცხედარს საფლავისაკენ აცილებდით! ს.-რევოლიუციონერი ამბობს, რომ თერგის ოლქში დემოკრატიული მთავრობა არისო. და თუ ჩვენც ისეთ მთავრობას შევქმნით, მაშინ პირველი დაგვეხმარებაო. მაშასადამე, ეს დემოკრატიული მთავრობა გვიყენებს ახალ ულტიმატუმს, რომელსაც დიდი ხნის ისტორია აქვს რუსეთში. და ამას მაშინ, როდესაც ჩვენ ასეთ კრიტიკულ მდგომარეობაში ვიმყოფებით. ნუ თუ სოციალისტ-რევოლიუციონერს მართლა სწამს ამ მთავრობის დემოკრატიზმი, რომელიც ასეთ პოლიტიკას აწარმოებს?! ნუთუ დემოკრატიული მთავრობა დაუშვებს, რომ როდესაც ჩვენ ოსმალეთი გვიყენებს გამანადგურებელ ულტიმატუმს,—ისიც ზურგიდან მეორე ულტიმატუმს წამოგვიყენებს?! რატომ ეხლავე არ გზავნის იგი პურს და სხვა საჭირო საგნებს? არა, ჩვენ ასეთი დემოკრატიული მთავრობა არ გვწამს! ჩვენ დღეს გვინდა დახმარება, ვისგანაც არ იქნება იგი. შემდეგ მე მეკითხებიან: შეუძლია კი მხოლოდ საქართველოს გაუმკლავდეს მოზღვავებულ მტერს?—ჩვენ არ გვინდოდა ასეთი მდგომარეობის შექმნა. ჩვენ ყოველთვის ვცდილობდით ერთობის დაცვას. გვიკარნახებს დემოკრატიის ინტერესები. ჩვენ არა გვაქვს უფლება ხალხის ინტერესებით ვევაჭროთ. და თუ ჩვენ სურვილის წინაამდეგ მთლიანი დემოკრატია მხოლოდ ქართველ დემოკრატიაზე დადგება, მაშინ, მოსალოდნელია, მიზნებიც შევიწროებულ იქნეს. თუ ჩვენი ძალები უმცირესობამდე ჩამოქვეითდება, თუ დემოკრატიის მტრები მოახერხებენ ხალხის ინტერესების ხარჯზე უმრავლესობის შექმნას,—მაშინ, რასაკვირველია, ჩვენ დავმარცხდებით! მაგრამ ამით არ დამარცხდება ჩვენი პოლიტიკა. დემოკრატიის დამარცხებისათვის მთელი პასუხის მგებლობა დამნაშავე უმრავლესობას დააწვება კისერზე! (მქუხარე ტაში). მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

„განიხილა რა ამხანაგ წერეთელის მოხსენება მიმდინარე მომენტის შესახებ, საბჭო ადგენს: ამიერ-კავკასიის მდგომარეობა იცნოს საშიშროთ—გარედან მტერი მოიწევს, შიგნიდან ანარქიასთან ერთად სწარმოებს პასუხისმგებლ ჯგუფთა მუშაობა ძალთა დასაქუცმაცებლად. მთელი დემოკრატიის გაერთიანებასა და დისციპლინარულ სამხედრო ძალის შექმნას შეუძლია იხსნას რევოლიუცია და თავისუფლება განსაცდელისაგან. ამიტომ საბჭო საჭიროთ აღიარებს მაგარ მთავრობის შექმნას, რომელიც საბჭოს დაეყმარება და განახორციელებს ამ ძირითად კითხვას".

რეზოლიუცია ერთხმად იქნა მიღებული. ოთხმა თავი შეიკავა.

ემ—ჩენ.

# სად.-მამულო რეფორმა

**ქვემო-ჭალის რაიონი** (გორის მაზრა). ქვემო-ჭალის რაიონი მდებარეობს სადგურ კასპიდან 15 ვერსის მანძილზე, მდინარე ლიხურას ნაპირზე. აქ მოსახლეობენ ოსები და ქართველები, მათ შორის არავითარი შუღლი არ არსებობს. აქ უმთავრესათ ეწევიან მიწის მუშაობას. კულტურულათ ძლიერ ჩამორჩენილები არიან. ამ რაიონში მემამულეები ბლო-

მათ არიან და მამულებიც ბევრია ჩამოსართმევი. 26 მარტს მოხდა კრება სადგილ-მამულო რაიონის კომიტეტისა გლეხთა საბჭოს წევრებისა. კრებას დაესწრენ აგრეთვე დაინტერესებული პირებიც. კრების თავმჯდომარეთ აირჩიეს ამხ. ზაქრო ოქროპირიძე, მდივნათ ამხ. სანდრო ფრუიძე. კრების მიზანი იყო მიწის ახალი კანონის ახსნა განმარტება, რომელიც 7 მარტს 1918 წ. იქნა ამიერ-კავკასიის სეიმისაგან გამოცემული. დღიურ წესრიგათ კრებამ მიიღო თანამედროვე მომენტი, რაზედაც მოხსენება გააკეთეს გლეხთა ცენტრის რწმუნებულებმა. მოხსენების შემდეგ გაიმართა მსჯელობა და მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია: „მოისმინა კრებამ მოხსენება ამხანაგებისა მიწის ახალი კანონის შესახებ, ქვემო-ჭალის გლეხთა საბჭო სცნობს ნამდვილ კანონიერათ გლეხებისათვის სეიმის მიერ გამოცემულ ახალ კანონს და ყოველი საშვალებით ვეცდებით დაუყონებლივ გავატაროთ ცხოვრებაში“.

აგრეთვე კრებამ იმსჯელა ოსმალეთის ჩვენს თავისუფალ ქვეყანაში შემოჭრის შესახებ და დაადგინა ერთხმათ: ჩვენ ქვემო-ჭალის გლეხთა საბჭო ვუცხადებთ სრულს ნდობას ამიერ-კავკასიის სეიმს და მთავრობას. მზათა ვართ მხარში ამოვუდგეთ ჩვენ ძმა გურულებს სამშობლოს და თავისუფლების დაცვაში. ორ დღეში შედგა მოხალისეთა ჯგუფები (უმთავრესათ ჯარში ნამსახურთაგან), მოუგროვეს საკმაო ფულები და გაუშვეს. თან აღუთქვეს, რომ მათ ოჯახს არას გაუჭირებენ და მიხედავენ ისე, როგორც საკუთარ ოჯახს. ამის შემდეგ მოვიდა დეკრეტი მობილიზაციის შესახებ, რასაც ხალხი ნდობით შეხვდა. ემზადებიან დანიშნულს დროს გამოცხადდენ სამხედრო საკრებულოში. დანარჩენები კი ადგენენ კომისიებს, რომ დარჩენილებს მიხედონ და არ გაუჭირონ როგორც მუშაობით, აგრეთვე ფულით. ასე ერთსულოვნათ შეხვდენ აქაური მოქალაქენი დღევანდელ კრიტიკულ ხანაში თავდაცვის საქმეს.

რწმუნებული **ილარიონ ბალანჩივაძე.**

## მუშათა შორის

**თფილისი.** 8 აპრილს თფილისის სახალხო უნივერსიტეტის შენობაში მოხდა ბეჭდვითი საქმის პროფესიონალურ კავშირის წევრთა საერთო კრება ზორინის თავმჯდომარეობით. განსახილველი იყო შემდეგი კითხვები: გაფიცვის მსვლელობა და მისი ლიკვიდაცია; ახალი ტარიფის განხილვა და დამტკიცება; ამხ. დუმბაძის განცხადება და გამგეობის წევრთა დამატებითი არჩევნები. პირველ კითხვის შესახებ მოხსენებას აკეთებს კავშირის მდივანი ამხ. დობორჯგინიძე. მოხსენებიდან ირკვევა, რომ სამ თვეზე მეტია, რაც გაფიცვა სწარმოებს ზოგიერთ დაწესებულებებში და „ხაზეინებმა“ მაინც არ მოისურვეს მუშათა კანონიერ მოთხოვნილების დაკმაყოფილება. რომ გაფიცვა დასრულებულიყო, ამისთვის არსებობდა ორი გზა: ერთი საყოველთაო გაფიცვა, ხოლო მეორე რეკვიზიცია იმ დაწესებულებების, რომლებიც არ აკმაყოფილებდენ მუშათა მოთხოვნილებას. თავისთავათ ცხადი იყო, ისეთ მომენტში, როგორშიაც იმყოფება დღეს ამიერ-კავკასია, მუშათა საერთო გაფიცვის გამოცხადების გზას არ დაადგებოდა გამგეობა, საერთო გაფიცვა დღევანდელ პირობებში მთელ მხარეს მოუტანდა ზიანს; დარჩა მეორე გზა, გზა რეკვიზიციისა. გამგეობამ მიმართა შრომის სამინისტროს, რომ ამ უკანასკნელს რეკვიზიცია ექნა გამგეობის მიერ ნაჩვენებ დაწესებულებებისათვის, რაც შრომის სამინისტრომ უკვე დაადასტურა, და რაც საბოლოოდ სისრულეში მოვა მიმდინარე კვირაში. გამგეობის ჩვენებით რეკვიზიცია უყვეს შემდეგ დაწესებულებებს: მარტიროსიანცის სტამბას; მესხიევის ლიტოგრაფიას და ამხანაგობა „პერეპლიოტის“ ასაკინძავ ქარხანას. მიმდინარე კვირაში გაფიცული ამხანაგები შეუდგებიან მუშაობას ხსენებულ დაწესებულებებში. რეკვიზიცია უყვეს აგრეთვე სხვა გაფიცულ დაწესებულებების მოძრავ ქონებას, როგორიც არის მაგალითათ ქაღალდი, საღებავი და სხვ. ამასთანავე გაფიცული მუშები შრომის სამინისტროს საშვალებით მიიღებენ აგრეთვე სამ-სამი თვის ჯამაგირს თავიანთ „ხაზეინებისაგან“ როგორც ეს საერთოთ მიღებული არის წარმოების ლიკვიდაციის დროს კრებამ მოიწონა გამგეობის მიერ გადადგმული ნაბიჯი გაფიცვის ლიკვიდაციის შესახებ.

მეორე საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ივანოვი. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ რადგანაც პირველ საჭიროების საგნებზე ფასები საზღაპროთ იზრდება არა თუ დღითი-დღე, არამედ საათობითაც კი და ამიტომ მუშებს არას გზით არ შეუძლიათ არსებულ ჯამაგირებით უზრუნველყონ თავიანთი ფიზიკური არსებობაც კი, ამასთანავე წინა ტარიფს უკვე პირველ აპრილს გაუთავდა ვადა, ამისათვის გამგეობამ საჭიროთ დაინახა წარუდგინოს „ხაზეინებს“ ახალი ტარიფი, რომელიც განისაზღვრება ასი მანეთის მომატებით არსებულ ხელფასზე. გამგეობას სამართლიანათ მიაჩნია ეხლანდელი ტარიფის გადიდება სწარმოებდეს ყველა წევრთათვის ერთნაირათ, გარდა მოწაფეებისა, რადგანაც ის გამოწვეულია სიძვირის გამო და სიძვირე ყველასათვის ერთნაირათ სწარმოებს. კრებამ აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ უცვლელათ მიიღო გამგეობის მიერ წარმოდგენილი ტარიფი და მისი ცხოვრებაში გატარება დაავალა გამგეობას.

ამხ. დუმბაძის განცხადება შეეხებოდა მის პირად შეურაცყოფას, რამოდენიმე კავშირის წევრთა ამხანაგების მიერ, ამიტომ კრებამ წინადადება მისცა ამხ. დუმბაძეს მიმართოს ხსენებულ ამხანაგებს, რომ ამ უკანასკნელებმა დუმბაძესთან ერთათ დანიშნონ საამხანაგო სასამართლო, რომელიც გამოიძიებს მათში მომხდარ ინციდენტს. შემდეგ უნდა მომხდარიყო გამგეობის წევრთა დამატებითი არჩევნები, მაგრამ რადგან კრება ამ კითხვის გარჩევამდე მრავალმა ამხანაგებმა დასტოვეს, ამისთვის კრებამ სასურველათ სცნო გადაედო არჩევნები შემდეგი საზოგადო კრებისთვის. გამგეობის თავმჯდომარის წინადადებით კრებამ ნება დართო გამგეობას მოიწვიოს კოოპტაციის საშვალებით რამოდენიმე ამხანაგები გამგეობაში, სანამ მოხდებოდეს დამატებითი არჩევნები. თუ რათ დასჭირდა ახლათ არჩეულ გამგეობას დამატებითი არჩევნების მოხდენა და რა არის მიზეზი, ამის შესახებ მკითხველებს ცალკე წერილში მოველაპარაკები.

**ს. ცხემლისხიდელი.**

## სოც.-დემ. პარტიაში

**დ. სადმელი** (რაჭა). 30 მარტს აქ შესდგა ქვემო რაჭის რაიონის რ. ს. დ. პ. კომიტეტის კრება. თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა ამხ. ილ ჭელიძე, მდივნათ ვ. არეშიძე. დღიურ წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: პრეზიდიუმის მოხსენება; ანგარიში წარსულ 1917 წ. 25 ოქტომბრიდან 1918 წ. 1 იანვრამდე; ახალი პრეზიდიუმის არჩევა; მოხსენება მცირე კოლექტივებიდან; მომავალი მუშაობა; ჩვენი დამოკიდებულება გლეხთა საბჭოებთან და წითელი გვარდია და სხვა წვრილმანი კითხვები. პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ი. ჭელიძემ. გამოირკვა, რომ პრეზიდიუმის მუშაობა ყოფილა სუსტი. ამის უმთავრესი მიზეზი ყოფილა ნივთიერი ხელმოკლეობა და უმთავრესად კი ძალთა ნაკლებობა, თუმცა ჰყავდა ჯამაგირიანი პროპაგანდისტი, მაგრამ ის მარტო ვერ უწვდებოდა საქმეებს. 25 ოქტომბრიდან 1917 წ. 1 იანვრამდე 1918 წ. შემოსავალი ყოფილა 978 მან. 93 კაპ. გასავალი 1133 მან. 93 კ. ვალი 204 მანეთი. ეს ანგარიში კრებამ დაამტკიცა. პრეზიდიუმს ეთხოვა დარჩენილიყო თავის ალაგზე, რაზედაც ის დასთანხმდა, მხოლოდ რადგანაც მდივანი აქ არ იმყოფება ამ ჟამად, მის მაგივრად დროებით, არჩეულ იქნა სევ. სოხაძე. მცირე კოლექტივებშიდაც ვერ ყოფილა საერთოდ პარტიული მუშაობა კარგს ნიადაგზე დაყენებული, რის მიზეზი აქაც პარტიულ ძალების ნაკლებობას მიეწერება. ვინც არიან, ისინიც რევ. ორგანიზაციების საქმეში არიან გართულნი და პარტიულ მუშაობისთვის ძლიერ მცირე დრო ურჩებათ. მიიღო რა მხედველობაში ყველა ეს ნაკლულევანება პარტიულ მუშაობაში კრებამ დაადგინა, რომ მთელ კოლექტივებშიდაც და აგრეთვე საერთოთ პარტიული მუშაობა განაცხოველონ, რამდენათაც კი შესაძლებელი იქნება დღევანდელ პირობებში. გლეხთა საბჭოებთან ჩვენი დამოკიდებულების და წითელი გვარდიის შესახებ კრებამ გადაწყვიტა: დაევალოს ამხანაგებს მიიღონ მონაწილეობა საბჭოების სხდომებზე და იქონიონ გავლენა მათ (საბჭოების) ყოველგვარ გადაწყვეტილებებზე; თვალყური ადევნონ მათ მოქმედებას და აგრეთვე ურჩიონ საბჭოებს შეადგინონ (სადაც ჯერ არ არის) წითელი გვარდია ჩვენ ამხანაგთაგან და სამედო პირთაგან რევოლიუციონური წესრიგის დასაცავად და საბრძოლველათ პროვოკატორ-შავრაზმელებთან. გაირჩა აგრეთვე სხვა და სხვა წვრილმანი კითხვები.

**ვალიკო დონაძე.**

---

**რკინის გზის სამმართველო.** პარასკევს 6 აპრილს შესდგა სამმართველოში მოსამსახურეთა პარტიის წევრების კრება. გასარჩევი იყო თანამედროვე მომენტი. მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „მოვისმინეთ რა მოხსენება თანამედროვე ხანაზე, რუს. სოც.-დემ. პარტიულმა კრებამ რკინის გზის სამმართველოს მოსამსახურეებისამ დაადგინა, რომ ყოველივე ძალ-ღონე იქნეს მიღებული ომის მშვიდობიანათ დასათავებლათ, და უკეთუ არავითარი ცდა ამ მხრივ არ გასჭრის, ჩვენ მზათ ვართ შევწიროთ ჩვენი სიცოცხლეც კი თავისუფლებას და ღირსეულათ ვიბრძოლებთ. ამის შემდეგ კრებამ მოისმინა ამხ. მალანიას მოხსენება რკინის გზაზე შექმნილ მდგომარეობის შესახებ. გამოირკვა, რომ კონტრ-რევოლიუციონერები იქაც ენერგიულათ მოქმედებენ —ავრცელებენ სხვადასხვა უსაფუძვლო ხმებს, რითაც ზოგიერთ მოსამსახურეებს გული უცრუვდებათ მუშაობაზე. მცირე კამათის შემდეგ, კრებამ გამოთქვა რათა ამ მოვლენის წინააღმდეგ პარტიის ყველა წევრმა იბრძოლოს. კოლექტივში არჩეულ იქნენ გ. ლოგუა, მ. ფერაძე და ოთხი კანდიდატი.

**საქარელი მ.**

## პროვინცია

**სიღნაღის მაზრა.** ერთი შეხედვით დღევანდელი გლეხის სულიერი განწყობილება ვერ არის კარგი იმედის მომცემი და, რა გინდ მაგარი ოპტიმისტიც იყოთ, სასოწარკვეთილებაში ჩამაგდებს.

განსაკუთრებით ეს თამამათ შეიძლება ითქვას სიღნაღის მხარეზე.

საერთოდ ეს კუთხე სწავლა-განათლებით და კულტურულად მეტად ჩამორჩენილია: დაახლოვებით 2—3 ათას მცხოვრებზე შეიძლება ერთ სახალხო სკოლას წააწყდეთ. ბიბლიოთეკა სამკითხველოებზე ხომ მეტია ლაპარაკიც. თვით სამაზრო ქალაქ სიღნაღშიაც კი, არამც თუ ბიბლიოთეკა, უბრალო გაზეთის მიღების საქმეც ვერ მოუგვარებიათ, რომ კაცმა გაიგოს თუ რა ხდება მის გარშემო ამ საბედისწერო დროს.

აქ „გაბალშევიკებულ ჯარისკაცებს“ დიდი ნიადაგი აქვთ. ეს ვაჟბატონები, რევოლიუციის სახელით სოფლის დალუპვის საქმეს აწარმოებენ. რაღაც გაუგებრობით და უფრო კი, ჩვენების სისუსტით, სოფელზე გასანაწილებლად მიღებული თოფებით ესენი შეიარაღებულან და რევოლიუციის დამცველნი შეიარაღებულ ავაზაკების თარეშს გულზე ხელ-დაკრეფით შესცქერიან. ძარცვა-გლეჯა, თავად აზნაურობის ხოცვა-ჟლეტა და ათასნაირი ავაზაკობა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა და ყველასათვის თვალსაჩინოთ ხდება: საუბედუროთ, ზოგიერთ შემთხვევაში, თვით მასსაც ღებულობს მონაწილეობას.

ერთი თავადის ოჯახში ამ ვაჟბატონებმა მიიყვანეს სოფლის ერთი ნაწილი, დაკლეს ხარი იყო თუ ძროხა, მოხარშეს იქვე, მოხადეს ქვევრს თავი, გაძღენ, ღვინითაც ძალზე გაილეშნენ და შეუცვინდენ ოჯახში. დაარბიეს ოჯახში ყველაფერი, შემდეგ ოჯახში მყოფთ დახოცვა მოუნდომეს, მაგრამ დროზე გაუგეს და ვისაც შეეძლო, გაქცევით თავს უშველეს, მხოლოდ დარჩა სახლში დამბლადაცემული დავრდომილი ქალი, რომელიც არ დაინდვეს ღვინით გალეშილ მხეცებმა, საძაგლათ აწამეს და ნამუსიც ახადეს...

არ დარჩენილა თითქმის არც ერთი თავადის ან აზნაურის ოჯახი, რომ დღითა და ღამით აუტანელ ტანჯვასა და შიშს არ განიცდიდეს ამ ვაჟბატონების წყალობით. მრავალი ოჯახი სულ ამოწყვიტეს. სახლ-კარი ცეცხლს მისცეს. ტყე და სხვა მრავალი საზოგადო ხასიათის ქონება გაანიავეს, წარა-მარა თოფების სროლით ყოველგვარი სიმშვიდე დარღვეულია. სიმართლის მთქმელს,—„გალუსტუკიან-ცილინდრიანებსა“ და წითელ-გვარდიელებს—„ბურჟუაძესა“ და თავადების დამცველათ ნათლავენ და იმათაც იარაღით ემუქრებიან.

ამ დღეებში ერთ-ერთ რაიონში ხმა გაავრცელეს, რომ სადაც ვნახავთ „ტუჟურკიან-ბურჟუაძეს“ დამცველს, იქვე მოვკლათო. ალბათ „ტუჟურკებში“ ხედავენ ჩვენს ამხანაგებს. ერთი სიტყვით დაწვრილებით აღწერა იმ უწესრიგობის, რაიც აქ ხდება, შეუძლებელია. და თუ დროზე ამ მხრივ მეტი ყურადღება არ მიექცა ამ მაზრას, შემდეგ გვიან-ღა იქნება.

ამ ცოტა ხნის განმავლობაში, რაც კი მიწის ჩამომრთმევი კომისია და მთავრობის რწმუნებულები შეუდგენ თავიანთ მოვალეობის შესრულებას, სოფლები ფხიზლდება და თანდათან ერკვევიან.

ხდება ხშირი მრავალრიცხოვანი კრებები, სადაც გაბედულათ გამოდიან ზემოხსენებული პირები, უწევენ პროპაგანდა-აგიტაციას, არკვევენ სხვადასხვა საჭირბოროტო თანამედროვე კითხვებს, გამოაქვთ შესაფერი რეზოლიუციები, აწყობენ საჭირო ორგანიზაციებს და სხ.

ამ დროს ავაზაკები სოროებისაკენ გარბიან და ერთსულოვნობა თანდათან მუშავდება. ხსენებულ კომისიას ხანგრძლივი არსებობა მოუხდება ამ მაზრაში.

ადგილობრივი ძალებიც დიდ იმედებს ამყარებენ ამ პირებზე. და ყველა მათგანი ენერგიულათ შეუდგება მოვალეობის შესრულებას, სოფლის ნაძირალებს ნიადაგი გამოეცლებათ და ამით წინ წავსწევთ საერთო საქმეს.

**გოგი.**

---

**ალაზნის გაღმა** სოფელს ენისენში 1 აპრილს იყო დანიშნული საზოგადო კრება, სადაც იყვნენ მოწვეული მთელი თელავის მაზრის კომისრები, წითელი რაზმი და ყველა მიწათა კომიტეტები კრების მიზანი იყო გამოერკვია მეზობელ სოფლების ლეკების მუქარები, თუ რამდენათ მართალი იყო ხალხში გავრცელებული ჭორები. ჩვენის მხრიდან ხალხი ბლომათ დაესწრო. უმრავლესობა წითელი რაზმი იყო—1500 კაცი. ლეკებმა დაიგვიანეს. კრება იყო დანიშნული 1 საათზე, მერე მოვიდენ ლეკები, მაგრამ ესენი იყვნენ ჯერ ცოტანი 24 კაცი და ახლა კიდევ იმათ თქვეს, რომ მთებზე დიდი თოვლი მოვიდა და ვერ გადმოვლენ ჩვენი ამხანაგებიო. გარდა ამისა, კრებაზე უნდა ყოფილიყო თელავის ქალაქის თავი და არც ის მოვიდა და არც თელავის ორგანიზაციის რწმუნებული არავინ. ბევრი ლოდინის შემდეგ მიწათა სამინისტროს რწმუნებულები მოვიდენ. ამათ გახსნეს კრება. ილაპარაკა ანდრო რამიშვილმა. აუხსნა კრების მოწვევის მიზეზი. შემდეგ ილაპარაკა გ. თევდორაშვილმა და აუხსნა ხალხს: ნუ გონიათ ჩვენს მეზობელ ლეკებს, რომ ოსმალეთი მოვა და მაგათ გააბედნიერებს ან ვილაც რაღაცუდინი. ეს ტყუილია. ჩვენ გვყავდა მეფეები, მაგრამ იმათ მარტო თავადები გააბედნიერეს, ვისთანაც დღეს გვიხდება ჩვენ ბრძოლაო. ყავდათ რუსებს მეფე ნიკოლოზ მეორე, მაგრამ ისინიც ჩვენზე უბედურები იყვნენ. ჩვენ საწყალს ხალხს გვიშველის შეერთება, ძმობა და ერთობა. გაუმარჯოს ძმობა ერთობას.

ილაპარაკა მალაროს რაიონის კომისარმა ჯიოშვილმა (ოსი), რომელმაც როგორც გლეხმა დიდი გავლენა მოახდინა ხალხზე. ამის მერე ლაპარაკობს ლეკიც, რომელიც მოუწოდებს ერთობასა და შეკავშირებისაკენ. სადაც წახვალთ ჩვენც თქვენთან ერთად ვიბრძოლებთო. ჩვენ არ გვეხარება ოსმალეთის შემოსვლაო. ჩვენ ნიკოლოზის ხელში ფიჩვის უღელი გვედგა და ოსმალეთი რომ შემოვა, მაშინ რკინის უღელს დაგვადგემსო.

**გ. ივრისპირელი.**

## წერილი რედ. მიმართ

ნაძალადევის პირველ დაწყებითი სამოქალაქო სასწავლებელთან არსებული მშობელთა წრის საშუალებათა გასაძლიერებლათ ნაძალადევის სახალხო თეატრში პირველ აპრილს ამა წლისა დადგმულ იქნა ხუთ მოქმედებიანი დრამა ჯიოკომეტისა „დამნაშავის ოჯახი“. შემოვიდა ბილეთების გაყიდვით 439 მან. 5 კ., ხარჯი იყო 141 მ. 90 კ., წმინდა მოგება დარჩა 297 მ. 15 კ. ამ წარმოდგენაში უსასყიდლოთ მონაწილეობა მიიღეს სცენის მოყვარეებმა: ქ.ქ. ვ. ამირანაშვილმა, ქ. კამკამაძემ, ს. კანდინოვმა და ბ.ბ. კანდელაკმა, გ. სვანიძემ, ვ. კუდუხაშვილმა, ა. სვანიძემ და ლ. გოგავამ, რის გამო მშობელთა წრე გულითად მადლობას მოახსენებს მათ.

თავმჯდომარე წრისა **ე. კეკლიშვილი.**

მდივანი **ნ. ივანაშვილი.**

---

„ერთობის“ მე-78 ნომერში მოთავსებულია მასწ. ილარიონ ივანოვის წერილი „ნოდეს“ საპასუხოთ, რომელშიაც უარს ყოფს მის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებებს და ემუქრება კიდეც.

მე არ ვიცი, რა არევ-დარევა შექონდა ბ ნ ივანოვს ამ ბოლო დროს ხალხში, მხოლოდ დანამდვილებით კი შემიძლია ვსთქვა, რომ 1904 წელს მან (ივანოვმა) გასცა ჩვენი ამხანაგი ვანო (ივანე) კეცხოველი, რომელიც დაიჭირეს გორში ჟანდარმებმა და საპყრობილეში დიდი ხნის ჯდომის შემდეგ გაასამართლეს, რომლის დროს ბ-ნი ივანოვი მთავრობის ჯალათების მოწამე იყო. ამას დაამტკიცებს თვით კეცხოველი და თუ საჭირო იქნება, მეც შემიძლია რამოდენიმე ცნობები მივაწოდო „ნოდეს“. ამხ. კეცხოველი ამ ჟამათ იმყოფება ბაქოში. გარდა ზევით ნათქვამისა შემიძლია დავუმატო, რომ იმ დროს მეც იძულებული შევიქენი ბ ნ ივანოვის წყალობით გადავხვეწილიყავი გორიდან ერევანში, რადგანაც, თუმცა პირადათ არ მიცნობდა, მაგრამ იცოდა კი, რომ იმ დროს მეც იმ წრეში ვმუშაობდი, სადაც ამხ. კეცხოველი მუშაობდა.

**თედორე ქარცივაძე.**

## ცნობები

**ჯარისკაცთა შესახებ.**

ჯარისკაცი არშაკო გიორგის ძე სარქისოვი მსახურებდა მე-4 კავკასიის არმიის კორპუსში სასურსათო მაღაზიაში აზრუმის ახლოს ხაჯაბარში. მას შემდეგ გადაიყვანეს სარიყამიშში, სადაც ჩააბარეს თოფი. ეხლა ვსთხოვთ ყველას თუ კი ვინმემ რამე იცის მის შესახებ, თუ სად იმყოფება შეგვატყობინოს. მისამართი: ლაილაში მიხაკო გიორგის ძე სარქისოვი.

---

აჭარის წყალთან 25 მარტს ჩვენმა რაზმმა უკან დაახევინა მტერს, რომელმაც სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია ჩვენს რაზმს. შატაკების დროს დაიჭრენ მოწაფეები: ვარლამ ქაშიბაია, კუკუ ფალავა, არსენ განჯიაშვილი, სამსონ ქელბაქიანი, კოკი გაფრინდაშვილი, ბართლომე ხერხეულიძე და დათიკო ჩხეტია. უკანასკნელი დაჭრილია ფეხში.

## ფონდი

მივიღეთ ს. ინტაბუეთის (გურია) იაჩეიკისაგან ლუკა წიქარიძის მიერ გამოგზავნილი „ერთობის“ ფონდისთვის 10 მანეთი.

---


**მარტის 20 გაიხსნა ახალი**

# სამკურნალო

**ყოველგვარ ავათმყოფთათვის ექიმ. ე. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარეტიანცის**

სავადმყოფოში არსებობს კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბარატორიით

მიხეილის და კიროჩნი ქუჩების კუთხე № 22. (შესასვლელი კიროჩნი ქუჩიდან) ტელეფ. 10—87. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 ს. ნაშუადღევის 3 საათამდე. ვენერიული და სიფილისის ავათმყოფების მიღება საღამოს 5—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს., კვირაობით ღარიბები უფასოთ მიიღებიან დილ. 10—12 საათ.

(24—16)

---

**სამკურნალო კაბინეთი ექიმი ალექსანდრე დავითის ძის**

# კეკელიასი

მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

---

**ექიმი**

# ვ. ვ. კლდიაშვილი

**შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ღებულობს ყოველ-დღე დღის 12—1 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 4, კუთხე მიხეილის პრ. ტელეფონი 8—48. ვაგზლის სამკურნალოში მიიღებს ყოველ-დღე დღის 1—2 საათამდე.**

---

**ექიმი**

# დ. ი. ჯაფარიძე

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

---

# ექიმი ნ. დ. [illegible]

**მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა.**

შინაგან საბავშვო, საბებიო და საშვილოსნო სნეულებით ავადმყოფთ იღებს ყოველ-დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათამ. **უფასოთ** იღებს ყოველ-დღე დილით 9—10 საათ. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

---

**ექიმი ქალი**

# რ. გ. შიშლო-საგაშვილი

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ-დღე **შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას.** სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 82.

---

**ექიმი**

# დ. ი. ჟორდანია

იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი მისი და შედეგები სისხლ ნაკლებბა. ქრონიკული ჰალიარია და ქრონიკული ტრაპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გორის ქ. № 6 (დიდუბე). ტელ. 14—37.

---

**ექიმი**

# გ. დონხინი

**ყოფილ იასსისტენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს თვალის ტკივილებით ავადმყოფებს,** დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე. **მიხეილის პრ., 76,** (ხაიკინის კბილის საექიმო).

---

# ექიმი ვ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19

---

**ექიმი**

# ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა (ხელოვნური პნევმოტორაქსი) ქარებით და სხვა **შინაგან სნეულებით** ავათმყოფთ ყოველ დღე დილის 11—12 საათამდე და საღამოთი 4—6 საათამდე მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.

---

ოთხშაბათს, 11 აპრილს 1918 წ. დილის 9 საათზე, სახალხო სახლში შესდგება

# საზოგადო კრება

რესტორნების, კლუბების, სასადილოების და სხ. დაწესებულებათა მოსამსახურეთა პროფ. კავშ. წევრთა კრება.

**დღის წესრიგი:**

1) თანამედროვე მომენტი, 2) მოხსენება გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა, 3) განხილვა და დამტკიცება ანგარიშისა, 4) ვაგზალი, ბორჯომი და მათი ანგარიში, 5) უმუშევრობა და მასთან ბრძოლა, 6) დამატებითი არჩევნებ გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა და 7) მიმდინარე კითხვები.

გამგეობა სთხოვს ამხანაგებს აუცილებლად დაესწრონ დანიშნულ დროს კრებას.

(2—2)


---

# თფილისის ქალაქის გამგეობა
# სავალდებულო დადგენილება.

ქალაქის გამგეობამ თანახმათ საბჭოს 1918 წ. 19 მარტის გადაწყვეტილებისა დაადგინა:

1) ქალაქ თფილისში შემოღებულ იქნება ოთახების დაფასება ისეთ ბინებზე, სადაც იძლევა არა ნაკლებ სამისა და არა უმეტეს ათი ოთახისა.

2) ოთახის ფასი ისაზღვრება მთელი ბინის საიჯარო ფასის ნაწილით, ამ ფასის გამოანგარიშება შეიძლება იმის და მიხედვით თუ მთელი ბინის რამდენი ნაწილი უჭირავს ოთახს და ზედ ემატება 15 პროცენტი.

3) თუ ავეჯით სარგებლობენ ოთახის დამქირავებელნი, შეიძლება მიემატოს კიდევ 20 პროცენტი.

**შენიშვნა:** საჭირო ავეჯათ ითვლება: კრაოტი, ან ტახტი, სკამები, მცხოვრებლებთა რიცხვის მიხედვით, ერთი სასადილო სტოლი და საწერი მაგიდა, პირის საბანი, ტანისამოსის შკაფი, კამოდი, წიგნების შკაფი ან ეტაჟერკა.

4) როცა მესამე მუხლში აღნიშნულ ავეჯზე მეტით სარგებლობენ ფასის შესახებ ურთიერთ შეთანხმება უნდა მოხდეს, უკეთუ ეს ავეჯი აუცილებლათ საჭირო ავეჯის მაგიერობას არ ასრულებს, ამ უკანასკნელ შემთხვევაში ფასს მეორე მუხლის თანახმათ იხდიან.

5) გათბობა განათებისთვის იხდიან იმდენს, რამდენიც ნამდვილათ ღირს ეს. პროპორციონალურ პრინციპის თანახმად, როგორც ეს არის ამ დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნული.

6) ვანით სარგებლობისათვის თვითოეულზე უნდა გადაიხადონ თვეში არა უმეტეს ორი მანეთისა.

7) სამზარეულოთი სარგებლობისთვის საჭმელის მოსახარშათ უნდა გადაიხადონ არა უმეტეს 10 მანეთისა ხოლო როცა სხვა რამესთვის სარგებლობენ სამზარეულოთი ამისთვის ფასი არ უნდა გადაიხადონ.

**შენიშვნა.** თუ სამზარეულოთი სარგებლობენ საცხოვრებლათ პირველ მუხლის თანახმად იხდიან ფასს.

8) სამოვრით სარგებლობისთვის იხდიან არა უმეტეს 6 მანეთისა თვეში თვითოეულ სამოვარზე.

9) ხელზე მოსამსახურეთა შრომით სარგებლობისთვის იხდიან 1 და 2 მუხლში აღნიშნულ ფასის 20 პროც.

10) ამ დადგენილების ძალაში შესვლის დღიდან დამქირავებელს უფლება არა აქვს წაართვას დამქირავებელს ავეჯი, მოუსპოს სინათლე და გათბობა, აუკრძალოს სამზარეულოთი სარგებლობა და სხვა. უკეთუ უკანასკნელი სარგებლობდა ყველა ამით ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე.

11) ამ დადგენილების ძალაში შესვლის დროს დანიშვნა ევალება თფილისის ქალაქის გამგეობას.

12) ამ დადგენილების დარღვევისთვის 29 სტ. ძალით პასუხისგებაში იქნებიან მიცემული.

13) ამ დადგენილების სისრულეში მოყვანას თვალყური უნდა ადევნონ სახლის კომიტეტებმა.

ეს დადგენილება ძალაში შედის 10 აპრილიდან.

(2—2) **თფილისის ქალაქის გამგეობა.**

მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, წყაბაძის შესახვევი, № 1.